საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყვეცა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 17 დეკემბერი. 2019 წ. №248 (8914) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ბიძინა ივანიშვილი: ჩვენ ევროპაში ხელცარიელები არ ვბრუნდებით

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა თავისუფლების მოედანზე და რუსთაველის გამზირზე შეკრებილ მოსახლეობას სიტყვით მიმართა.

ბიძინა ივანიშვილის გამოსვლის ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:

მოგესალმებით ყველას – ახალგაზრდებს, ჩემს თანამებრძოლებს, სრულიად საქართველოს!

შვიდი წელი გავიდა საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტოდ ხალხმრავალი შეკრებიდან, როდესაც აქ, ამ მოედანზე, ნახევარი მილიონი თანამოქალაქე შევიკრიბეთ მოედანზე, რომელიც თავისუფლების სახელს ატარებს.

შვიდი წლის წინათ ამ მოედანზე ჩვენ, პრაქტიკულად მთელი ქვეყანა, სწორედ თავისუფლებისა და ღირსების დაბრუნებისთვის გავერთიანდით!

დღესაც, ამავე ადგილას, კვლავ ევროპული არჩევანის უპირობო ერთგულებამ გაგვაერთიანა!

რას ნიშნავს ჩვენთვის ევროპა?!

ევროპა უპირველესად ანტიკურ საბერძნეთში ჩასახული დემოკრატია, „მართალი სამართალი“ და ქრისტიანული სულია;

ევროპა, ტოლერანტობა, და მრავალფეროვნებაა.

ამ ფასეულობებს ორგანულად ნაზიარები, მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი კულტურის მქონე ერი, თამამად და ამაყად ვაცხადებთ, რომ ჩვენ ვართ ევროპელები და ევროპის დიდ ოჯახში ჩვენ ხელცარიელები არ ვბრუნდებით.

საქართველო – „ვეფხისტყაოსნის“ ცივილიზაციაა, სადაც უცხოს მიღება და განსხვავებული

ნუ შეგეშინდებათ, ჩვენ ყველა სიძნელეს დავძლევთ!

კულტურების თანაარსებობა, დეკლარაციებით კი არ არის დანერგილი, არამედ ჩვენი იდენტობის ნაწილია.

ჩვენში ქრისტიანობა კაბადოკიელმა ნინომ შემოიტანა, რომელსაც სომეხმა შუშანიკმა, არაბმა აბომ და სპარსმა ევსტათიმ უერთგულეს.

იხ. 2 გვ.

ანაკლიის პორტი: მოვიძიეთ ინვესტორი?!

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ გუშინ განცხადება გაავრცელა:

„მიუხედავად არსებული ვითარებისა, რომელიც ანაკლიის განვითარების კონსორციუმის კონტროლს მიღმაა, ჩვენ მოვიძიეთ ინვესტორი, რომელიც ჯერ კიდევ არის დაინტერესებული პროექტით. ამის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენეთ მთავრობის წარმომადგენლები რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გასულ კვირას გამართულ შეხვედრაზე.

როგორც ჩვენ განვუმარტეთ მთავრობის წარმომადგენლებს, ინვესტორისთვის მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან დაინახოს პირდაპირი მხარდაჭერა და კეთილგანწყობა, როგორც პროექტის, ასევე მათ მიმართ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დღემდე არ მიგვიღია მსგავსი პოზიცია სახელმწიფოსგან. ამრიგად, ჩვენ ველოდებით მთავრობას, რადგან ზემოთ აღწერილი სიტუაცია არ არის ჩვენი კონტროლის ქვეშ, თუმცა პარალელურად ჩვენ აქტიურად ვაწვდით ჩვენ ხელთ არსებულ ინფორმაციას პოტენციურ ინვესტორს.

ADC იყენებს ყველა საშუალებას, რომ პროექტი წინ წავიდეს, სანამ ჩვენ ვართ მთავრობის მხარდაჭერის მოლოდინში, რაც აუცილებელია ინვესტორთან მოლაპარაკებების დასრულების და პროექტის მომავლის უზრუნველსაყოფად. ჩვენ გვსურს, რომ თავიდან ავიცილოთ სამართლებრივი დავა და ვიმედოვნებთ, რომ მთავრობა უზრუნველყოფს მოთხოვნილ მხარდაჭერას, რათა წარმატებით გავაგრძელოთ და დასრულდეს პროექტი“, – აცხადებენ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმში“.

31 დეკემბერი საბოლოო ვადაა, როდესაც კონსორციუმმა უნდა მოიზიდოს როგორც საკუთარი კაპიტალი, ისე გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები პორტის მშენებლობის დასასრულებლად.

გურამ გუნავა
ცხოვრება აღმშენებელი კაცისა

6

თუ ნიანგმა შენი მტერი შეჭამა...

4

საუკუნის ექიმი

შეხვედრა ცნობილ მკურნალთან ისმეთ დინდარ-მიქელაძესთან

5



ბიძინა ივანიშვილი:

ჩვენ ევროპაში ხელცარიელები არ ვბრუნდებით

(პირველი გვერდიდან)

საქართველო ხომ ღვინის და დიდი ალბათობით, ხორბლის სამშობლოცაა, რადგან სწორედ ჩვენ დაგვარქვა პირველმა ევროპულმა ცივილიზაციამ, საბერძნეთმა — „გეორგია“, ანუ მიწათმოქმედთა ქვეყანა; სწორედ ქართველურ ტომს, ხალიბებს უკავშირდება პირველი რკინის წარმოება; სწორედ ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა იასონი ოქროს საწმისის, ანუ ქართველთა საკრალური ცოდნის წასაღებად და არსად სხვაგან.

ჩვენში „ლეკვი ლომისა“ მაშინვე თანასწორი იყო და სწორედ ეს გვაყალიბებდა იმთავითვე ევროპელებად.

ჩვენ, ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში, ევროპაში პირველებმა გავამეფეთ ქალი, ჩავსახეთ პარლამენტარიზმის პირველი ნიშნები და სწორედ საქართველოში, შოთა რუსთაველმა დაარწია პირველად ევროპული ჰუმანიზმის აკვანი.

აქ, ჩვენს მიწაზე, „კოლხეთის აკადემიის“ ფესვებზე აღმოცენდა ევროპული განათლების ისეთი მძლავრი რეგიონალური ცენტრები, როგორიც იყო გელათის და იყალთოს აკადემია.

შემდგომში ისტორიულმა ქარტეხილებმა, სამწუხაროდ, მოგვწყვიტა ჩვენს საერთო ოჯახს, მაგრამ, როგორც კარგად აღზრდილი ადამიანი ინარჩუნებს ღირსებას ნებისმიერ გარემოში, ისე შეძლო ჩვენმა ერმა თავისი ევროპული კულტურის და ფასეულობების შენარჩუნება.

და მაშინაც კი, როცა არავითარი იმედი არ ჩანდა, სულხან-საბა ისევ ჯიუტად მიისწრაფვოდა დასავლეთისკენ და თავისი „სიტყვის კონით“ კვლავ ქმნიდა ევროპას საქართველოში.

მიისწრაფვოდა არა იმიტომ, სულხან-საბა რომ ვერ ერკვეოდა გეოპოლიტიკურ რეალიებში, არამედ იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შეეძლო, რადგან ევროპული იყო მისი ქართული ბუნება.

სწორედ ამ ქართულმა ბუნებამ დაბადა აღმოსავლეთ მთიანეთის პატარა სოფელში ევროპული მასშტაბის მოაზროვნე და ჰუმანისტი ვაჟა-ფშაველა და სწორედ ამ ქართულმა ბუნებამ მისცა აღაზას ზვიადაურის დატირების უფლება.

სწორედ ეს ბუნება, ეს ღირებულებებია, რაც თითოეულ ქართველს ბადებს ევროპელად და საქართველოს აქცევს ევროპის ბუნებრივ ნაწილად!

ამიტომ, ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ ევროპაში ხელცარიელები ვბრუნდებით, ჩვენ ყოველთვის ჩვენი მნიშვნელოვანი წვლილი შეგვქონდა ევროპულ ცივილიზაციაში.

ჩვენი სამშობლო — ესაა ევროპული კულტურა. თუმცა სახელმწიფო, რომელიც ისევე განსხვავდება სამშობლოსაგან, როგორც — ქვევრი ღვინისგან — ყოველთვის როდი იყო ევროპული ტიპის. ახლა დადგა დრო, როცა ქართული, ევროპული ღვინო — ევროპული კულტურა, ასევე ევროპული ტიპის სახელმწიფოში ჩავასხათ.

საქართველო ევროპაში არა უბრალოდ, ფორმალურად უნდა დაბრუნდეს, არამედ თავისი კუთვნილი, კაშკაშა ადგილი უნდა დაიმკვიდროს ევროპის თანავარსკვლავედში.

მე ამის მწამს და მტკიცედ მჯერა!

მჯერა, რადგან ვხედავ, ქართველი ხალხი, ქართული სახელმწიფო და საქართველოს ეკლესია — ერი და ბერი, ერთიანი და მტკიცეა ამ არჩევანში!

მჯერა, რადგან ვიცი და ვხედავ, რას ეფუძნება ევროპული ცივილიზაცია.

დემოკრატია, კანონის უზენაესობა, თანასწორობა და შემწყნარებლობა — ის ფასეულობებია, რაზეც დგას ევროპა და რაც ასე ღრმად არის გამჯდარი ქართულ სულში.

სწორედ ეს ბუნება, ეს ღირებულებები აქცევს საქართველოს ევროპის ბუნებრივ ნაწილად.

იყო მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური საქართველოს შვილი, ანუ იყო ქართველი, ნიშნავს — მღეროდე მრავალჟამიერს, ქმნიდე პოლიფონიას, ცეკვავდე ხორუმს, წერდე „ვეფხისტყაოსანს“;

იყო ქართველი, ნიშნავს, უძღვებოდე ქართულ სუფრას, შენს თავში ატარებდე ვაჟა-ფშაველას; ამიტომ, ნურაფრის შეგეშინდებათ, ჩვენ ტკივილი ვერ მოგვერევა და ვერცერთი მტერი ვერასდროს დაგვამარცხებს, რადგან საქართველო უკვდავია! უკვდავია მისი კულტურა, მისი დაუდგრომელი სული, რომელიც მუდამ ისწრაფვოდა და ისწრაფვის თავისი ევროპული ოჯახისკენ.

და დღეს, როდესაც დიდი ისტორიის ფესვებზე მდგომებს, მოპოვებული გვაქვს თავისუფლება, როდესაც, ზოგიერთი ხანდახან ირონიულადაც იხსენებს ჩემს სიტყვებს, რომ გასაოცარ დემოკრატიას შევქმნიდით — რეალურად, მრავალი თვალსაზრისით, ჩვენ უკვე ვცხოვრობთ ევროპულ დემოკრატიაში, რომლის მიღწევაც არა ძალადობრივი გზით და უცხოს თავზე მოხვევით, არამედ ჩვენს ფასეულობებზე დაყრდნობით შევძელით.

სწორედ ასეთი მიდგომით მივაღწიეთ ჩვენ, ევროპასთან ასოცირებას და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებას; სწორედ ასეთი მიდგომებით მიენიჭა საქართველოს მოქალაქეს ევროკავშირში უვიზოდ გადაადგილების უფლება;

სწორედ ევროპული არჩევანისადმი საქმით ერთგულებამ მოგვიტანა სულ ახლახან ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, თავისუფალი სამყაროს ლიდერის, ამერიკის შეერთებული შტატების უპრეცედენტო, ორპარტიული მხარდაჭერა!

დარწმუნებული ვარ, აუცილებლად დადგება ის დღე, როდესაც ჩვენ, ისევ აქ, ამ სიმბოლურ ადგილას, თავისუფლების მოედანზე, ვიზეიმებთ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას და ყველა ერთად ვიტყვით — ისტორიული სამართლიანობა აღდგა, მიზანს მივაღწიეთ.

მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპა, პირველ რიგში, ზომიერებაა — თავისუფლების და პასუხისმგებლობის იდეალური ბალანსი, იდეალური კვეთა. სამწუხაროდ, ევროპულ სივრცეში დაბრუნება დაბალი ნიშნულიდან იმიტომაც გვიწვეს, რომ დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე თავისუფლების სურნელთ გაბრუებულებმა, პასუხისმგებლობა სრულად ვერ გავაცნობიერეთ და პრაქტიკულად დავანგრიეთ ჩვენი ქვეყანა.

ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა კი ორმაგად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. სიდუხჭირის გარდა, წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით ოკუპაცია, ავტორიტარიზმი, ერთი პატარა ჯგუფის მიერ მიტაცებული და თავისუფალი აზრის, თავისუფალი ადამიანების დასათრგუნად მომართული სახელმწიფო ინსტიტუტები მივიღეთ.

დღევანდელობის ცინიზმი კი იმაში მდგომარეობს, რომ ვინც ოკუპაცია გააფორმა. სწორედ მან მოირგო პატრიოტის მანტია და აქეთ გვდებს ბრალს ოკუპაციაში;

ვინც ფეხქვეშ გათელა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, აწამა და ქუჩაში ხოცა თანამოძმე, მიიტაცა ბიზნესი, მედია და პრაქტიკულად გააუქმა თავისუფალი სიტყვა, აკრძალა ქუჩა, გახსოვთ, რომ ქუჩაში გამოსვლა აკრძალული იყო, სწორედ ისინი გვდებენ ბრალს დემოკრატიის ნაკლებობაში დღეს, თანაც ნაძარცვი ფულით სახელდახელოდ გახსნილი ტელევიზიებიდან;

ვინც ბოლო 30 წლის მანძილზე ლამის მექრთამეობის ეტალონად იქცა, პარლამენტის ტრიბუნიდან კორუფციაზე გველაპარაკება და სამართლიანი სასამართლოს მედროშედ უნდა წარმოაჩინოს თავი.

დიდია ცდუნება, უპასუხო მათ ისე, როგორც იმსახურებენ, მაგრამ, მე და ჩვენი პოლიტიკური გუნდი, „ქართული ოცნება“ ვრჩებით 2012 წლის იდეალების ერთგულად, მათ ახლაც მოვექცევით არა ისე, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც იმსახურებს ჩვენი ხალხი და ჩვენი დიდი კულტურა.

ჩვენ ყველა სიძნელეს დავძლევთ, ჩვენს ქვეყანასაც გავამთლიანებთ და ეკონომიკასაც ავაღორძინებთ! და, რაც მთავარია, ისე ვივლით ამ გზაზე, რომ ადამიანი დარჩება მთავარ ღირებულებად და ჩვენს აგრესიულ ოპონენტებსაც კი, მალე, როდესაც ისინი თავად დარწმუნდებიან სიცრუესა და ძალადობაზე დაფუძნებული პოლიტიკის უპერსპექტივობაში, მათაც ქვეყნის სამსახურში ჩავაყენებთ, რადგან ასე მღერიან ქართულ მრავალჟამიერში: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია!“

დაბოლოს, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ჩვენს ქვეყანას ევროპული გამოცდილება, მეცნიერება და განათლება სჭირდება. ეს უნდა იყოს მისი თოფიარაღი“. სწორედ ესაა ჩვენი გზა, ესაა ილიას გზა, ესაა ევროპული გზა. ამ ვარსკვლავს მივყვებით ჩვენ, რადგან ზუსტად ვიცით, რომ თანამედროვე სამყაროში „გზა ხსნისა“ განათლებაზე გადის. ამიტომ მივეცით ჩვენს თავს უფლება, ყველაზე მასშტაბური და ამბიციური ინვესტიცია ქვეყნის მომავალში, მის განათლებაში ჩაგვედო.

ბევრი ჩვენზე ეკონომიკურად წელში გამართული ქვეყანა ვერ გაბედავდა, ბიუჯეტის 25% განათლებაზე დაეხარჯა.

ჩვენ კი ეს გავბედეთ და გავაკეთეთ.

განათლების უპრეცედენტო რეფორმა, რომელსაც წელს ჩაეყარა საფუძველი, ერთდროულად არის ჩვენი ქვეყნის შვიდწლიანი, მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების გვირგვინიც და ამბიციური განაცხადიც ჩვენს გარდაუვალ, სამომავლო წარმატებებზე!

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე ამ ღირსეულ გზაზე!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლოს, გაუმარჯოს საქართველოს.

2019 წლის 15 დეკემბერი

პრეზიდენტის უფრო ყურადღებით მოსმენა უნდა ვისწავლოთ!

„მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტის უფრო ყურადღებით მოსმენა ვისწავლოთ და არ გადავაჭარბოთ ხოლმე უარყოფით შეფასებებში“, — ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა. ინაუგურაციიდან ერთი წლის თავზე წულუკიანი სალომე ზურაბიშვილს წარმატებებს, გამძლეობას და თითოეული მოქალაქისთვის სასურველი გადაწყვეტილებების მიღებას უსურვებს.

იუსტიციის მინისტრი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს ამის რესურსი აქვს და საერთაშორისო ასპარეზზე მის მიერ ქვეყნის წარმომადგენლობა არის ყოველთვის საამაყო და მისასალმებელი.

სალომე ზურაბიშვილი: სალობიეშიც ვივლი და თავშეყრის სხვა ადგილებშიც...

საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, „სალობიეშიც ივლის და სხვა თავშეყრის ადგილებშიც“, — ასე უპასუხა პრეზიდენტმა ჟურნალისტებს სალობიეში სტუმრობასთან დაკავშირებით, რასაც სოციალურ მედიაში აქტიურად განიხილავდნენ.

„მე არ მინახავს საკუთარი მოსახლეობის უნდობლობა. მე დავდივარ ქუჩაში, დავდივარ რეგიონებში, ვხვდები ხალხს დიდი დოზით და დიდი სიყვარულით. ჩემთვის საზომი, თუ როგორ აფასებს მოსახლეობა თავის პრეზიდენტს, ეს არის და არა ხუთკაციანი გამოსვლები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტსა და ხალხს შორის არ გაწყდეს ეს ურთიერთობა. სადაც საჭიროა, სალობიეშიც ვივლი და სხვა თავშეყრის ადგილებშიც, ძალიან თავისუფლად. ფეხით სიარულს გავაგრძელებ და ვიქნები ჩემ ხალხთან ერთად, სადაც საჭიროა და როგორც საჭიროა“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ათონელის რეზიდენცია ყველასთვის ხელმისაწვდომია!

საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, დღეიდან ათონელის რეზიდენცია დამთვალიერებლებისთვის გაიხსნება. ამის შესახებ პრეზიდენტმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტის სასახლე ღიაა დიასპორისთვის, „რომ იგრძნონ, რომ ეს სასახლე და პრეზიდენტი არის მათი“. თბილისში, ათონელის ქუჩაზე მდებარე ორბელიანების სასახლის მოსაწყობად, სადაც ახლა პრეზიდენტის ადმინისტრაცია მდებარეობს, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სულ 2 800 000 ლარი გამოიყო, 1 999 558 ლარი ანტიკვარულ ავეჯზე გაიხარჯა. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) პრეზიდენტის რეზიდენციის კეთილმოწყობის ხარჯებზე კვლევა გამოაქვეყნა. IDFI-ის ინფორმაციით, პრეზიდენტის რეზიდენციის მოწყობისთვის 2 174 783 ლარი დაიხარჯა.

ვაჟა გაფრინდაშვილმა „იცოდა, იცოდა“!



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე თბილისის საკრებულოს დეპუტატის ერეკლე კუხიანიძის განცხადების საპასუხოდ ბლოგს, სახელწოდებით „ხომ იცოდა“ პორტალ „პუბლიკაზე“ ავრცელებს:

„კი, რაღაც ყველაფერს პროვოკაციის სუნი ასდის: ხომ იცოდა გაფრინდაშვილმა, რომ დააპატიმრებდნენ, რაღას გადადიოდა „იმ მხარეს“?

ხომ იცოდა ტატუნაშვილმა, რომ მოკლავდნენ, რაღატომ გადაწყვიტა წასვლა?

ანწუხელიძემ ხომ იცოდა, რუსეთი რომ დიდია და მაგას ვერ მოერევი, რატომ არ დანებდა?

ზვიად გამსახურდიამ ხომ იცოდა, რომ მოკლავდნენ, რაღას ბრუნდებოდა სამშობლოში?

ხომ იცოდა მიხეილ ჯავახიშვილმა, რომ აწამებდნენ და დახვრეტდნენ?

და ილია ჭავჭავაძემ ხომ იცოდა, გულში ტყვიის დახლა რომ არის სამშობლოს გულით სიყვარულის ბოლო?

ასევე იხილეთ გაფრინდაშვილის განტოლება, დიმიტრი ყიფიანმაც ხომ იცოდა?

თევდორე მღვდელმა?

ხომ იცოდა შუშანიკმა საპყრობილეში რომ ამოალპობდნენ?

ან ამ აბოს რაღა რჯიდა?

იცოდნენ, იცოდნენ და რომ იცოდნენ, იმიტომ ზიხართ ახლა თქვენ დამოუკიდებელი საქართველოს რომელიღაც ქალაქში, თბილ ოთახში და დიდი წვალებით, მაგრამ, მაინც რუსული შრიფტით აცოდვილებთ ბრძნულ შეკითხვას: ხომ იცოდა? და მე გპასუხობთ — იცოდა!“

თბილისის საკრებულოს „ქართული ოცნების“ წევრმა ერეკლე კუხიანიძემ საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ დაკავებული ექიმის ვაჟა გაფრინდაშვილის ოჯახს პროვოკატორი უწოდა.

2020 წელს მაღალი ეკონომიკური ზრდა განპირობებული იქნება ორი მთავარი ფაქტორით!

„დღეს ჩვენი ეკონომიკური ზრდა, პირველ რიგში, განპირობებულია მაღალი ექსპორტით. ჩვენი ამოცანაა, მომავალ 2020 წელს მაღალი ეკონომიკური ზრდა განპირობებული იყოს ორი მთავარი ფაქტორით — ეს არის ინვესტიციები და ექსპორტის განვითარება. ბოლო სტატისტიკა, რაც გვაქვს უცხოური ინვესტიციების ნაწილში, ინვესტორების გაზრდილ ნდობაზე მიუთითებს, მაგრამ არ იძლევა თვითკმაყოფილების საფუძველს და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს ინვესტიციები იმიტომ, რომ შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილები“, — განაცხადა ნათია თურნავამ. ეკონომიკის მინისტრმა მედიასთან კომენტარი სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში გამართული პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გააკეთა, სადაც ეკონომიკის სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ხელმძღვანელმა მიხეილ ხიდურელმა საზოგადოებას 2020-2021 წლებში ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა წარუდგინა.

ნათია თურნავას თქმით, ეკონომიკის სამინისტრო, ერთი მხრივ, ახორციელებს მასშტაბურ პრივატიზაციას — ეს არის პროექტი „ასი საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“, რომელიც ძალიან წარმატებით ხორციელდება, პარალელურად, მომზადდა 2020-2021 წლების პროაქტიული სტრატეგია ინვესტორების მოსაზიდად. **„ჩვენ კი არ ველოდოთ, სანამ ინვესტორი იპოვის საქართველოს რუკაზე, არამედ ჩვენ თვითონ გავაკეთოთ ყველაფერი, რომ საქართველომ მოინიშნოს ინვესტორები რუკაზე. ამისთვის გამოვკვეთეთ პრიორიტეტული სექტორები, მათ შორის არის ახალი მაღალტექნოლოგიური სექტორები, მაგალითად, ელექტრონული მოწყობილობებისა და ავტო და თვითმფრინავების ნაწილების წარმოება და ა.შ. პარალელურად, არის ტრადიციული სექტორებიც, სადაც ყველაზე მეტი სამუშაო ადგილი იქმნება — ეს არის მსუბუქი მრეწველობა, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოება, დეველოპმენტი, სასტუმროები, ენერგეტიკა და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მიზნობრივად, წარმატებით ვიმუშავებთ ამ სექტორებში ინვესტიციების მოსაზიდად“,** — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

აფხაზეთი ელენერგიით კვლავ „ენგურჰესიდან“ მომარაგდება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა მედიასთან საუბარში აცხადებს, რომ აფხაზეთს ელექტროენერგია კვლავ „ენგურჰესიდან“ მიეწოდება.

„იცით, რომ „ენგურჰესის“ მეშვეობით, რომელიც ემსახურება ერთიან საქართველოს, ყოველთვის ვეხმარებით ჩვენს აფხაზ დებს და ძმებს. წელსაც შეძლებისდაგვარად ყველაფერი გაკეთდება, არსებული ჰიდროლოგიის და წყლის მარაგის გათვალისწინებით, რომ ეს პრინციპი შესრულდეს“, — განაცხადა თურნავამ.

რვა კოოპერატივს ჩაის გადამამუშავებელი მანქანა-დანადგარები გადაეცა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პროგრამის „ქართულ ჩაი“ მონაწილე 8 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს თანამედროვე სტანდარტის ტექნიკა გადაეცათ. კოოპერატივებისთვის მანქანა-დანადგარების გადაცემის პროცესს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, იმერეთის რეგიონის რწმუნებულთან, ზვიად შალამბერიძესთან ერთად დაესწრო.

„სახელმწიფო პროგრამის „ქართული ჩაი“ ფარგლებში, სარეაბილიტაციო სამუშაოები სამი-ოთხი წლის წინ დავიწყეთ და პირველ მოსავალს 2020 ველოდებით. დღეს თანამედროვე სტანდარტების დანადგარები გადავეცით იმ 8 კოოპერატივს, რომლებიც ჩაის სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში აწარმოებენ. ჩვენი მიზანია, მხარი დავუჭიროთ მეჩაიე ფერმერებს და ხელი შევუწყოთ ქართული ჩაის წარმოების ტრადიციის აღდგენას“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა. სახელმწიფო პროგრამის „ქართული ჩაი“ ბენეფიციარმა 8 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა, სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, 140 ჰექტარზე საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია მოახდინეს, რისთვისაც სახელმწიფოსგან, თანადაფინანსების სახით, 287 ათასი ლარი მიიღეს.

პროგრამა „ქართული ჩაი“ კოოპერატივებისთვის მანქანა-დანადგარების — ჩაის საღნობი დანადგარი, ჩაის საგრეხი როლერი და ჩაის საშრობი კარადა — შეძენასაც ითვალისწინებდა. ტექნიკის, რომელიც კოოპერატივებს საჩუქრად გადაეცათ, შესაძენად სახელმწიფოს მხრიდან 314 ათასი ლარი დაიხარჯა.



ᲗᲣ ᲜᲘᲐᲜᲒᲛᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲨᲔᲭᲐᲛᲐ...

14 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ **რუსთაველზე ვიყავი.**

ვიყავი არა იმიტომ, რომ ბედნიერი ვარ საქართველოს იმ გაერთიანების თავმჯდომარედ განმწესების, რომელსაც ცხინვალში დატყვევებული ექიმის გამოსახსნელად შეშფოთების მეტის გაკეთების უკანალი არა აქვს.

ვიყავი არა იმიტომ, რომ ბედნიერი ვარ საქართველოს იმ იმპოტენტი გაერთიანების თავმჯდომარედ განმწესებით, რომელიც მოძალადეებს იცავს და ჩემს სამშობლოს მათს წინააღმდეგ კანონის აღსრულებაში ყველანაირად ხელს უშლის.

ვიყავი იმიტომ, რომ, პირველ რიგში, დამეფიქსირებინა უმთავრესი — ჩვენ, ისინი, ვისაც საქართველო გვიყვარს, ვისაც სიმშვიდე გვსურს, გაცილებით მეტნი ვართ, ვიდრე ისინი, რომლებსაც ამ „დაწესებულების“ ხელდასხმით ისევ სისხლი, არეულობა და განუკითხაობა სურთ.

რუსთაველზე, უამრავ ადამიანთან ერთად, სწორედ ამის სათქმელად ვიყავი!

ისე, რაღა დაგიმალოთ და, ყოჩაღ ნაცებო, იმდენი „იჩალიჩეთ“, რომ მთელი საქართველო თბილისისკენ დაიძრა.

არადა, ისეთი მოკრძალებულები არიან, ორი კინკილა პროვოკატორის გარდა, თვითონ არ მისულან.

ძალიან მარტივად და კონკრეტულად ვიტყვი ნაცების, მათთან მიტმასნილი კლოუნების და ე.წ. „სამოქალაქო სექტორის“ იმ „განცხადებებზე“, რომლებიც ჯერ კიდევ აქციის დროს კეთდებოდა და ეს რამდენიმე დღეა, მათი ტელეკომპანიებიდან ისეთი ბოღმით იფრქვევა, რომ მივხვდი — მაგათ ექვსი ავლიპ ზურაბაშვილიც ვერ უშველით.

ე.ი. ისინი თვლიან, რომ რუსთაველზე მოსული ხალხის უმრავლესობა ფულზე, თანამდებობის დაკარგვის შიშზე გაყიდული მონაა?

ე.ი. ამდენმა ხალხმა თქვა, რომ მიHას კარტოფილი და რამდენიმე ლარი ურჩევნია?

ე.ი. ეს ამდენი ქართველი ჩვეულებრივი მეძავია?

ჰოდა, თქვე მართლა მეძავებო, არ დაგიწყებთ იმაზე ლაპარაკს, ვინ მოგცათ ამის უფლება და მსგავს პათეტიკურ პასაჟებს. პირდაპირ გეტყვით: წადით, თქვენი ფარჩაკი პოლიტიკანობაც რა ვთქვი!

ახლა დადექით და მეძახეთ სიძულვილის ენით მობაასე.

რაც შეეხება იმ „შეფუთვას“, რომლითაც „ქართულმა ოცნებამ“ 14 დეკემბრის სახალხო მსვლელობა წარმოაჩინა, ვიტყვი, რომ ეს, პირველ რიგში, იყო საქართველოს მოსახლეობის ნების დემონსტრირება!

ნების, რომელიც გამოხატავდა მკვლელების, მოძალადეების, ტერორისტების, ნაძირალების წინააღმდეგ არსებულ ნებას, სურვილს, რომ ისინი არ უნდა იყვნენ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში.

რაც შეეხება ე.წ. „შეფუთვას“ — საქართველო გახდა ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა, ვიტყვი, რომ ამ აქციას ამ ფორმით მიეცა აბსოლუტურად სწორი მიმართულება.

ვიტყვი, რომ ჩემი ბიძაშვილი, რომელიც დასავლეთ საქართველოდან ჩამოვიდა და შეიძლება ვერ ერკვეოდეს იმ ნიუანსებში, რასაც ევროსაბჭოს თავმჯდომარეობა გვაძლევს, არ იცოდეს, ვინ არის გომეში, მაგრად ეკიდოს ბრაიზა, კრამერი და ა.შ. მაგრამ ის მთელი თავისი არსით ევროპული ცხოვრების წესის მომხრეა.

მომხრეა იმ ცხოვრების წესის, სადაც არის სიმშვიდე, სადაც არის შრომის და ნაშრომის ღირსეული ანაზღაურების გარანტია, განათლების, ჯანმრთელობის უზრუნველყოფა და, რაც მთავარია, კანონის უზენაესობა!!!

შეიძლება ჩემმა ბიძაშვილმა არ იცოდეს, ვინ არის ბუკიკიო და ეს კარგიც არის, რომ არ იცის, მაგრამ ის ბოლომდე იბრძოლებს თავისი და ჩემი შვილების მომავლისთვის. ბოლომდე იბრძოლებს საქართველოსთვის.

მე შაბათს არა პოლიტიკური ძალის — „ქართული ოცნების“ აქციაზე ვიყავი, მე იმ დღეს ჩემი ბიძაშვილის დაძახებულზე გავედი!

მე იმ დღეს რუსთაველზე მშვიდი ცხოვრების, გარანტირებული მომავლის, განათლების, ჯანმრთელობისა და კანონის უზენაესობის დასაცავად ვიყავი.

ვიყავი იმის გამო, რომ ვერავინ გაბედოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შხამიანი პერფორმანსის მოწყობა, ვერავინ გაბედოს პოლიციელის შეურაცხყოფა, ვერავინ გაბედოს ამბოხის დაანონსება და ჩემთვის საღამოობით მეგობრებთან ერთად თითო ჭიქა ღვინის თავისუფლად დალევაში ხელის შეშლა.

ევროპა ჩემთვის ესაა.

ზუსტად ეს და არა ვიღაც ბოკერიების, ვიღაც სალაძეების, ვიღაც გიგაურების, ვიღაც ანა ნაცვლიშვილების, ვიღაც გირჩი ჯაფარიძეების და ა.შ. არსებების მიერ ჩვენს თავს მოხვეული მარაზმი.

საკმაოდ საინტერესო იყო პარლამენტის ვიცე-სპიკერის, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის ირმა ინანიშვილის კომენტარი:

„ცხადია, თავისუფლების მოედანი დღეს შეივსებოდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხალხი შეიკრიბა საკაკაშვილ-ბოკერიას წინააღმდეგ, ეს იყო უმთავრესი და არა დღევანდელი დღის „ევროპული“ შეფუთვა.

მეორე — „მარშრუტკებით“ ჩამოიყვანეს ადამიანებიო. მერე ვინ გიშლით, თქვენც ჩამოიყვანეთ, თუ შეგიძლიათ?! გინდ „მარშრუტკით“ და გინდ, მატარებლით, მაგრამ არ შეგიძლიათ და ვისაც შეუძლია, იმათი გშურთ!

მესამე — აქ მთავარი ისაა, რომ ხალხი სინამდვილეში საკაკაშვილ-ბოკერიას წინააღმდეგ გამოვიდა და სწორად მოიქცა, რომ გამოვიდა. ეს ის ხალხია, ვისაც „პატრიოტების“ რეზოლუციაზე ხელი აქვს მოწერილი და 7 წელია, დამნაშავეების დასჯას ითხოვს. ტრაგიკული კი ისაა, რომ ხელისუფლებამ ამ ხალხს დღესაც იგივე უთხრა, — არავის არ დავსჯი. პირიქით, კვლავ და კვლავ ვეცდები, მიშა და გიგა ქვეყნის სამსახურში ჩავაყენოო.

მეოთხე — ანუ ძველრომაული სპექტაკლი გრძელდება. მიშა და გიგა კვლავ და კვლავ იქნებიან, „ოცნებაც“ კვლავ და კვლავ მოგვატყუებს, შემდეგ მიშას და გიგას კვლავ და კვლავ აამხედრებს, რევოლუციის ილუზიას შექმნის და ჩვენს სამართლიან გაბრაზებას გადატრიალების შიშით გადაფარავს. შემდეგ საკაკაშვილ-ბოკერიებს ჰუმანურად დაშლის და თუ ისინი არ მოისვენებენ და კონტროლიდან გავლენ, თავისუფლების მოედანზე გამოგვიყვანს და მიშა-გიგას დასჯის მოლოდინში მყოფ ხალხს გვეტყვის, — ვერ და არ დავსჯი მიშა-გიგას, ქვეყნის სამსახურში უნდა ჩავაყენო, ხომ იცით, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო.

P. S. 2012 წლის იდეალები იყო სამართლიანობის აღდგენა და დამნაშავეების დასჯა!

ნათელია, რომ ქვეყანაში მხოლოდ ორი ძალაა — „ქართული ოცნება“, რომელიც აგრძელებს პილიტიკურ ჭადრაკს ყველასთან, ქვეყნის გარეთაც და ქვეყნის შიგნითაც, ხოლო მეორე პოლიტიკური ცენტრი „პატრიოტთა ალიანსია“, რომელიც არ თამაშობს და ხალხის ინტერესებს იცავს. ასე რომ, არჩევანი ნათელია“.

ძნელია, არ დაეთანხმო ამ კომენტარს.

ძნელია, რადგანაც არა ტრიბუნიდან გახმიანებული ლოზუნგები იყო ხალხის შეკრების მთავარი მიზანი, არამედ ის, რასაც გამზირზე მყოფი ხალხი, ზოგი ნაცნობი და ზოგიც უცნობი მეუბნებოდა.

ახლა მთავარია, თუ როგორ მიიღებს „ქართული ოცნება“ ხალხის ამ უპრეცედენტო რაოდენობის მისვლას. ჩავარდება ხიბლში — ნახეთ, რამდენი ადამიანი გვიჭერს მხარს და არჩევნებამდე გულზე ხელებს დაიკრეფს, თუ რეალურად შეაფასებს ხალხის მოთხოვნას და ქმედით ნაბიჯებს გადადგამს მოძალადეთა ბანდის ასალაგმად.

მინდა გავიხსენო ძველეგვიპტური ანდაზა — თუ ნიანგმა შენი მტერი შეჭამა, ეს არ ნიშნავს, რომ ნიანგი შენი მეგობარია.

დიახ, თუ ხალხმა ნაცებს თავისი ნება და ძალა აჩვენა, ეს არ ნიშნავს, რომ არჩევნებზე ის აუცილებლად „ოცნებას“ მისცემს ხმას.

არ ნიშნავს, რადგანაც ხალხის მთავარი მოთხოვნა, იმ 32 პოლიტიკანისა და მათი ვაცის, ნაციონალური მოძრაობის ბოგინის დასრულებაა და მხარდაჭერა მხოლოდ იმ ძალას ექნება, რომელშიც ამ მოთხოვნის შესრულებას დაინახავს.

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

„ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲝ ᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲐ“

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲖᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲙᲔᲜ“ — ღონისძიების ინიციატორი „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაცია იყო. თავისუფლების მოედანზე შეკრებილ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს მიმართეს — პარტიის თავმჯდომარემ, პრემიერ-მინისტრმა და დედაქალაქის მერმა. მათ საქართველოს ევროპული მისწრაფების შესახებ ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ საქართველოსთვის ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობა მნიშვნელოვანია.

იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლების მტკიცებით აქცია მხოლოდ ევროპის საბჭოში საქართველოს თავმჯდომარეობის აღსანიშნავად იმართებოდა, რომლის ორგანიზატორი პარტიის ახალგაზრდული ჯგუფი იყო, მოგვიანებით მმართველმა გუნდმა აღიარა აქციის პოლიტიკური მიზანი და მონაწილეობა მიიღო რეგიონებიდან მხარდამჭერების მობილიზაციაში. როგორც „ქართული ოცნების“ წევრი **ირაკლი კობახიძე** აცხადებს, „პროგრამა მინიმუმ“ 100 ათასი ადამიანი იყო, თუმცა 100 ათასს ბევრად აჭარბებდა შეკრებილი ადამიანების რაოდენობა. შესაბამისად, კობახიძე აცხადებს, რომ მიზანი ზედმიწევნით შესრულდა.

„უამრავმა ადამიანმა, ჩვენმა თანამოქალაქემ და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა გამოხატა ძალიან მყარი სურვილი, რომ საქართველო ევროპას კიდევ უფრო დაუახლოვდეს. ჩვენ მოვუწოდეთ ჩვენს მხარდაჭერებს, „ქართული ოცნების“ დასავლური კურსის მხარდამჭერებს, რომ მოსულიყვნენ და ეზეიმათ თავისუფლების ზეიმი. რა თქმა უნდა, ჩვენ გვქონდა მიზანი, რომ ჩვენი მხარდამჭერები მაქსიმალურად შეგვეკრიბა“, — განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

„ევროპული საქართველოს“ წევრის **სერგი კაპანაძის** განცხადებით, „ქართული ოცნების“ აქციის საბაბი ძალიან სასაცილო იყო და ამ აქციით კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი, როგორ ცუდ მდგომარეობაში არიან. როგორც კაპანაძემ აღნიშნა, ბიძინა ივანიშვილს ძალაუფლების დაკარგვის პანიკურად ეშინია.

მიუხედავად იმისა, რომ „თავისუფლების მოედანზე“ მმართველმა ძალამ 100 ათასამდე მხარდამჭერი გამოიყვანა, „ახალი საქართველოს“ ლიდერის **გიორგი ვაშაძის** განცხადებით, „ქართული ოცნება“ დარჩენილია რამდენიმე ათასი იძულებით ჩამოყვანილი საჯარო მოხელის იმედად. მისი თქმით, ეს არის „ქართული ოცნების“ მხრიდან უნიათო მცდელობა, აჩვენოს, რომ თითქოს ვინმე უჭერს მხარს.

ღონისძიების მიზანი, რომ საქართველოს ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობის აღნიშვნა იყო, არ ეთანხმებიან ანალიტიკოსები. მათი შეფასებით, აქციას ჰქონდა პოლიტიკური დატვირთვა, რასაც თავად პარტიის ლიდერები ადასტურებენ. მათივე შეფასებით, ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მმართველობიდან 7 წლის შემდეგ მხარდამჭერების უპრეცედენტო მობილიზაცია შეძლო, ადასტურებს, რომ მოლოდინის მიუხედავად, ქვეყანაში არ არსებობს ნეიტრალური ძალა.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, ნეიტრალური ძალის შექმნის აუცილებლობას ითხოვს საქართველოში შექმნილი მდგომარეობა. მისი თქმით, არის ქვეყნები, სადაც ძირითადად ორი პოლიტიკური ძალა უპირისპირდება ერთმანეთს და ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია აშშ, სადაც მესამეს აუცილებლობა არ არის იმიტომ, რომ ეს ორი დაახლოებით თანაბარი ძალის მქონე პარტიაა და ფაქტობრივად, მთლიანად ფარავს მოსახლეობის ინტერესს.

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲗᲐᲜ ᲘᲡᲛᲔᲗ ᲓᲘᲜᲓᲐᲠ-ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 13 დეკემბერს შედგა შეხვედრა ცნობილ ექიმთან და საზოგადო მოღვაწესთან ᲘᲡᲛᲔᲗ ᲓᲘᲜᲓᲐᲠ-ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ. მასვე გადაეცა აკადემიის უცხოელი წევრის დიპლომი.



კიდევ ერთხელ შევახსენებთ მკითხველს, რომ ცნობილი ექიმი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2019 წლის 17 ივნისის საერთო კრებამ აირჩია აკადემიის უცხოელ წევრად.

ისმეთ დინდარ-მიქელაძე ინვაზიურ კარდილოგიაში კორონარული ანგიოგრაფიის, ბალონირების, სტენტირების მიმართულებით თურქეთში ერთ-ერთი პირველი და ყველაზე გამოცდილი პროფესიონალია. ამ მიმართულებით მას საქართველოში ბევრი ახალგაზრდა ჰყავს აღზრდილი. პირველად სწორედ მან ჩაატარა აქ ბალონირება-სტენტირების პროცედურა.

ისმეთ დინდერ-მიქელაძე თავისი საზოგადო და პროფესიული მოღვაწეობით საქართველოსა და თურქეთს შორის დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციას ასრულებს. ამ მიმართულებით გაწეული ღვაწლისთვის მას უამრავი მადლობის სიგელი და საპატიო ჯილდო აქვს მიღებული. 2010 წელს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით მას გადაეცა ღირსების ორდენი, 2016 წელს კი მიენიჭა „საუკუნის ექიმის“ და „პერსონა 2016“ წოდება, 2002 წლიდან არის საქართველოს საპატიო მოქალაქე.

2015 წელს საქართველოში, კერძოდ, ბათუმში ისმეთ დინდარ-მიქელაძის პირადი ძალიხმევით 130-საწოლიანი, საერთაშორისო სტანდარტების მქონე, მრავალპროფილიანი საავადმყოფო გაიხსნა, რომლის ბაზაზეც დაფუძნდა „ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი“. იგი დღემდე ამ უნივერსიტეტის რექტორი და ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის დირექტორია.

ცნობილი ექიმი თურქეთში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად გადასცემს ქართველ ხალხსა და მომავალ ექიმებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ 300 ᲐᲗᲐᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲛᲝᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲛᲐ, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, გლდანის საზოგადოებრივი ცენტრი ახალ შენობაში, სავაჭრო ცენტრ „გლდანი პლაზაში“ გახსნა. დღეიდან ის ახალ მისამართზე (ილია ვეკუას №14) განთავსდა.

გლდანში საზოგადოებრივი ცენტრი 2017 წლის პირველ აგვისტოს გაიხსნა და სავაჭრო ცენტრ „სითი მოლში“ ფუნქციონირებდა. მისი მომსახურებით სარგებლობს გლდანის, მუხიანის, ნაძალადევისა და მიმდებარე რაიონების მოსახლეობა, სადაც, ჯამში, 300 ათასამდე ადამიანია რეგისტრირებული.

2017 წელს გლდანის საზოგადოებრივ ცენტრში თვეში, დაახლოებით, 12 ათასი ტრანზაქცია ხორციელდებოდა, დღეისათვის კი მათი რაოდენობა 20 ათასამდეა გაზრდილი. მომხმარებელთა ნაკადის ასეთმა მატებამ საჭირო გახადა საზოგადოებრივი ცენტრის ახალ, უფრო დიდ სივრცეში გადასვლა, სადაც მოქალაქეებს 21 ოპერატორის ნაცვლად 39 ოპერატორი მოემსახურება და სერვისების მიღება კიდევ უფრო სწრაფი და კომფორტული იქნება.

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა ბათუმში, განათლებისა და მეცნიერების ქალაქის პროექტის ფარგლებში, კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის ფილიალისა და საცხოვრებელი კამპუსის მშენებლობის ადგილზე სიმბოლური კაფსულა ჩადეს. თორნიკე რიჟვაძე დამსწრე აუდიტორიას მიესალმა და განათლებისა და მეცნიერების ქალაქის მშენებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„დღეს საქართველოს განათლების მინისტრთან, ბატონ მიხეილ ჩხენკელთან ერთად, ბათუმში საფუძველი ჩავუყარეთ განათლების და მეცნიერების ქალაქის მშენებლობას. რომელიც მართლაც იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, თანამედროვე საგანმანათლებლო კერა. კომაროვის სკოლა აშენდება, ასევე თანამედროვე ლაბორატორიები, საბუნებისმეტყველო და სამეცნიერო სივრცეები, სპორტული დარბაზები. ყველა ის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა, რომელიც საჭიროა მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების მიღებისთვის. ეს არ იქნება ერთადერთი სკოლა, რომელიც ამ ქალაქში აშენდება. იცით, რომ დაგეგმილია პროფესიული სასწავლებლის კოლეჯის და ხელოვნების სკოლის მშენებლობა. ასე რომ, ერთ სივრცეში ჩვენ ძალიან ბევრ საგანმანათლებლო კულტურულ სივრცეს მოვუყრით თავს“, — განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ.

250 მოსწავლეზე გათვლილ კომაროვის სკოლის ბათუმის ფილიალის თანამედროვე ტიპის შენობაში მოეწყობა საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო და სპორტული დარბაზები, ასევე, სპორტული მოედანი. სკოლა აღიჭურვება თანამედროვე სასკოლო ინვენტარით. პროექტის ფარგლებში აშენდება 100 მოსწავლეზე გათვლილი საცხოვრებელი კამპუსი.

ბათუმის კომაროვის სკოლის ფილიალისა და საცხოვრებელი კამპუსის პროექტის მშენებლობის ღირებულება 11 399 994 ლარია. პროექტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება.

„ჩვენთან ოპოზიციური პარტიები რომ გააერთიანო, არ ფარავენ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლებიც მხარს არ უჭერენ „ქართულ ოცნებას“. ანუ, არის „ქართული ოცნების“ ამომრჩევლები, ისევე როგორც ოპოზიციური პარტიის ამომრჩევლები, ასევე არიან ადამიანები, რომლებსაც არც ერთი პარტია არ უნდათ, გამოკითხვებშიც რამდენჯერმე ამოტივტივდა ეს ფაქტი. ამ ფაქტის განსახიერებაა ის, რომ ბევრი დარჩა სახლში. ამიტომ არის, რომ ოპოზიციური პარტიები ვერ ახერხებენ გამარჯვებას.

ოპოზიციური პარტიების ლიდერად აღიქმება „ნაციონალური მოძრაობა“, მისი ლიდერები და დანამატები „ევროპული საქართველოდან“. ორივე მათგანის უკან დგას ცხრაწლიანი გამოცდილება. ამ გამოცდილების გამო მათ მიმართ სიმპათია არ არის, რაც ჯერ კიდევ 2012 წელს გამოჩნდა. რაც შეეხება სხვა პარტიებს, ვერ მოიპოვეს მოსახლეობის ნდობა, რათა შეძლონ ქვეყნის მართვა. ამიტომ მათ ამომრჩეველი არ ჰყავთ. ოპოზიციაში არიან იგივე სახეები, რომლებსაც არასოდეს გაუმარჯვიათ ვინმესთან მიწებების გარეშე“, — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

რაც შეეხება ახალ ალტერნატივას, საყვარელიძის განცხადებით, ლაპარაკია „ლელოზე“, რომელიც შეუერთდა იმ პარტიებს, რომლებსაც გამარჯვების გამოცდილება არა აქვთ და მხოლოდ დამარცხების გამოცდილება აქვთ.

„თვითონ „ლელოს“ რეიტინგი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მიმზიდველობა შეიძინოს. თუკი „ლელო“ მიუახლოვდა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მონიშნულ პლატფორმას, სტილს, მიტინგისა და დესტაბილიზაციის გამართლებას, რაც ბევრჯერ სცადა, სავარაუდოა, რომ მოსახლეობას გაუჩნდეს იგივე დამოკიდებულება, რაც აქვს „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ.

ვნახოთ, შეიძლება უფრო საინტერესო კონფიგურაცია ვიხილოთ სამომავლოდ. „ლელო“ მარტო „ქართული ოცნების“ კონკურენტი არ არის, „ნაციონალური მოძრაობის“ კონკურენტიც არის, ერთიან ამომრჩეველს გულისხმობს და ალბათ, არჩევნებზე ნაციონალების ამომრჩევლების ხმების რაღაც ნაწილს წაიღებს „ლელო“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **რამაზ საყვარელიძემ.**

კონსტიტუციონალისტ **ვახტანგ ძაბირაძის** განცხადებით, ხელისუფლებას ამ რაოდენობის ხალხის მობილიზება ყოველთვის შეუძლია. მისი თქმით, ასე იყო, როცა 2012 წელს მიხეილ სააკაშვილმა სტადიონი გავსო, მაგრამ 3 დღის შემდეგ არჩევნები წააგო და ასე იყო შევარდნაძის დროსაც, როცა მთელი საქართველო გამოვიდა. მისი თქმით, ხელისუფლებას აქციის ორგანიზება არ უჭირს, რადგან ამ ქვეყანაში ჯერ არ დამდგარა ისეთი სიტუაცია, როდესაც საჯარო სამსახურში დასაქმებულმა, უარი განაცხადოს ხელისუფლების თხოვნაზე.

„ხალხის ეს რაოდენობა არაფერს ნიშნავს, ნებისმიერი ხელისუფლება შეძლებს ამ რაოდენობის ხალხის გამოყვანას. აი, თუ ოპოზიციამ შეაგროვა ამ რაოდენობის ხალხი, მაშინ უკვე ძალიან ცუდად არის საქმე. ამ რაოდენობის ხალხის გამოყვანა არაფერს არ აძლევს ხელისუფლებას, გარდა იმისა, თქვას, რომ აი, ოპოზიცია 3 ათასის შეგროვებასაც ვერ ახერხებს და ჩვენ 100 ათასზე მეტი მხარდამჭერი გვყავსო.

ნებისმიერ ქმედებას აქვს თავისი მიზანი, იმის თქმით, რომ ჩვენ მეტი შევაგროვეთ და თქვენ ნაკლებიო, ქვეყანაში ვითარება არ იცვლება და არც ქვეყნის გარეთ ჩვენი მეგობრების დამოკიდებულებაში შეიტანს რამე ცვლილებას“, — ამბობს ვახტანგ ძაბირაძე.

ᲛᲐᲠᲗᲐ ᲚᲐᲑᲐᲫᲔ

ცხოვრება აღმშენებელი კაცისა

არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარი ერის ყველა გამორჩეულ ნიშანთან ერთად, უდიდესი ღირსებითა და სიამაყით თავისი მშობლიური კუთხის გამოკვეთილ თვისებებს მთელი ცხოვრების მანძილზე ამაყად ატარებენ და დარბაისლურადაც წარმოაჩენენ. კოლხეთის მადლიან მიწას არაერთი ასეთი განსაკუთრებული კაცი გამოუზრდია დედა-სამშობლოსთვის, რომელთაც თავისი კერიიდან შორს გაიტანეს მისი სადიდებელი და თავადაც მოიხვეჭეს კაი ყმის სახელი.

ერთი ასეთი პიროვნება, რომ იტყვიან, „ჭეშმარიტი ერისკაცი“, მშობლიური სამეგრელოსა და ერთიანად საქართველოს დიდი სახელმწიფო, საზოგადო და სამეურნეო მოღვაწე, ბატონი **გურამ გუნავა** გახლავთ, რომელმაც ამ დღეებში თავისი სახელოვანი ცხოვრების მეცხრე ათეულის ათვლა დაიწყო.

დედამიწის ყველა კუთხეში, ყველა ერში არის მამულისთვის, საზოგადოებისთვის გულანთებული, ბოლომდე გახარჯული და ერთგული ადამიანების ავანგარდული რაზმი, რომელთაც ყველგან „ქვეყნის სინდისსა და ნამუსს“ ეძახიან. ისინი, სამწუხაროდ, უმრავლესობას არსად წარმოადგენენ, მაგრამ მთელი საზოგადოებისთვის მუდამ ნიშანსვეტად აღმართული მარჯვენაფლანგელები არიან.

ბატონ გურამ გუნავასთან პირველსავე შეხვედრაზე კაცს მისი გასაოცარი, ღვთივბოძებული ენერგია და საქმის კაცისთვის დამახასიათებელი ჩაცმის სტილი იზიდავს. ერთი შეხედვით შეუვალი ხელმძღვანელის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ თვალები და თანამოსაუბრისადმი არაჩვეულებრივად გულთბილი ტონი გამოარჩევს მის დიდსულოვან, კაცთმოყვარე ბუნებას. ამ აზრის სისწორეს მისი ყოფილი თუ ახლანდელი ქვეშევრდომები და ის ურიცხვი ხალხი ადასტურებს, ვისაც ბატონ გურამთან ოდესმე თუნდაც ერთი საქმიანი შეხვედრა ჰქონია.

სამეგრელოში, ზუგდიდის რაიონში, თავისი ისტორიული წარსულითა და აწმყოთი გამორჩეულ სოფელ რუხში, ბატონი გურამ გუნავა 1939 წლის 17 დეკემბერს, როგორც ჩვენში იტყვიან, წესიერ და პატიოსან ოჯახში დაიბადა.

მშობლები — ბატონი **იოსებ გუნავა** და ქალბატონი **მანუჟა ანთია,** თავად ბატონ გურამის თქმით, „რიგითი მშრომელი, სოფელ რუხის კოლმეურნეობის აქტიური წევრები იყვნენ“. გლეხურ შრომასთან ერთად, მამა ქართული ხალხური სიმღერების ჩინებული შემსრულებელიც ყოფილა და ზუგდიდის სახელმწიფო ანსამბლშიც მღეროდა, დედა კი ოჯახში ფუსფუსსა და კოლმეურნეობაში ჩაის კრეფას უთავსებდა ერთმანეთს.

1957 წელს სოფელ რუხის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, გურამ გუნავამ სწავლა თბილისში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტზე განაგრძო, რომლის სრული კურსის დასრულების შემდეგ სოფლის მეურნეობის აგრონომ-ეკონომისტის კვალიფიკაცია მიენიჭა და მუშაობა სოფელ რუხის საქვეყნოდ განთქმულ საყრდენ-საჩვენებელ კოლმეურნეობაში მგეგმავ-ნორმადარად დაიწყო. აქტიური ბუნების მადლით, რომლითაც ბატონი გურამ გუნავა ჭარმაგ ასაკშიც გამოირჩევა, ლიდერის თვისებები იმთავითვე ახასიათებდა — იგი მონაწილეობდა ზუგდიდისა და მთელი რაიონის იმდროინდელ ახალგაზრდულ საქმიანობაში, არჩეული იყო სოფელ რუხის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელად. ჩაის მწვანე ფოთლის მკრეფავად კი ბრიგადაში ჯერ კიდევ სკოლის მე-5 კლასში სწავლისას ჩაება, ხოლო მე-7 კლასიდან რუხის კოლმეურნეობის მოსწავლე-ახალგაზრდობის დამხმარე ბრიგადის ბრიგადირი გახდა.

ამ შორეულ წარსულზე ასე დაწვრილებით იმის გამო ვსაუბრობთ, რათა მკითხველს თვალნათლივ დავანახოთ, რომ 1963-66 წლებში მისი ზუგდიდის რაიონის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად არჩევა სულაც არ ყოფილა შემთხვევითი. ჰოდა, შრომითი ბიოგრაფიის ამ შთამბეჭდავ სტარტს სწორედ რომ ისეთი გაგრძელება მოჰყვა, როგორიც უნდა ჰქონოდა. 1966 წლის აგვისტოდან ბატონი გურამ გუნავა აირჩიეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე უნიკალური ობიექტის — მდინარე ენგურზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ, ხოლო შემდგომ — მდივნად.

აი, რას წერდა ენგურჰესის მშენებლობის შესახებ 1970 წელს ჟურნალ „ოგონიოკში“ ცნობილი ჟურნალისტი **ია მესხი:**

„წარმოიდგინეთ მთის ბობოქარი მდინარე, რომელიც დიდი სიჩქარით მოედინება ცენტრალური კავკასიონის მყინვარებიდან სულ ქვემოთ და ქვემოთ, კოლხეთის ბრტყელი სინისა და ზღვის თბილი სანაპიროებისკენ. მასში ძალიან დიდი ძალაა. მისი გამოუყენებლობა უბრალოდ ცოდვაა. გამოყენება კი ძალზე ძნელია სივიწროვის გამო. ძნელია, მაგრამ შესაძლებელი.

...მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანი გურამ გუნავაა. იგი 30 წლისაა, მას ეკონომისტის დიპლომი და ენერგეტიკოსის სტუდენტური ბილეთი აქვს და ამასთან ერთად, 45 პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჰყავს. მას უყვარს საქმე და ის კაცი, ვინც ამ საქმეს თავკაცობს (საუბარია ენგურჰესის მშენებლობის უფროსზე ნიკოლოზ ესაკიაზე — **ო.ტ.**).

გურამ გუნავა აერთიანებს კომუნისტებს მშენებლობისთვის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემების გადასაჭრელად. ისინი კარგად ავსებენ ერთმანეთს: უფროსი და პარტკომი — მოწიფულობა და ენთუზიაზმი, საქმიანობა და გულანთებულობა, გათვლა და აღმაფრენა...“

აღნიშნულ თანამდებობაზე რვა წლის მუშაობის შემდეგ იგი ინიშნება საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივნად. ამ მიმართულებით წარიმართა ბატონ გურამ გუნავას მოღვაწეობა 1977-1990 წლების პერიოდშიც, რა დროსაც იგი რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობაზე მუშაობდა ჯერ ლენტეხის, შემდეგ აბაშისა და ზუგდიდის რაიონებში, ასევე ქალაქ ზუგდიდის ქალაქკომის მდივნად.

აქვე აუცილებლად გვინდა აღვნიშნოთ ერთობ საგულისხმო გარემოება. აბაშის რაიკომის მდივნად ყოფნის დროს ბატონმა გურამ გუნავამ ხუთი წლის განმავლობაში წარმატებით გაართვა თავი მთელი კავშირის მასშტაბით ცნობილ სასოფლო-სამეურნეო ექსპერიმენტს. მას შემდეგ მთელი 17 წელი გავიდა და უკვე დამუოკიდებელ საქართველოში, აბაშის მოსახლეობის მოთხოვნით იგი კვლავ რაიონის თავკაცად, ამჯერად უკვე გამგებლად აირჩიეს, რასაც ისევ დიდი წარმატებები და ხალხის მადლიერება მოჰყვა. ამის თვალნათლივი დადასტურებაა მისი აბაშის საპატიო მოქალაქედ არჩევა.

იმ დროს, ანუ 1980-იან წლებში, ცალკეულ რაიონებში მიღწეული წარმატებებისა თუ წარუმატებლობის შესახებ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მსჯელობდა, რაც სათანადო დადგენილებებში აისახებოდა. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა 1983 წლის 10 მაისით დათარიღებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება, რომლის ერთ-ერთ პუნქტში „რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შესრულებისთვის პარტიის ლენტეხის რაიკომის მუშაობის შესახებ“, კერძოდ, ნათქვამია: **„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ლენტეხის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მნიშვნელოვანი ორგანიზატორული მუშაობა გასწიეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მოთხოვნით, ის ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგებლად იქნა არჩეული.**

1992-2004 წლებში ბატონი გურამ გუნავა უკვე საქართველოს კონტროლის პალატაში სხვადასხვა პასუხისმგებელ თანამდებობაზე მუშაობდა.

ხანგრძლივი, უაღრესად ნაყოფიერი შრომითი მოღვაწეობის მანძილზე ბატონ გურამ გუნავას სხვადასხვა დროს აქვს მიღებული არაერთი სახელმწიფო ჯილდო — ორდენი და მედალი. ამ ხნის განმავლობაში ორჯერ იყო საქართველოს X-XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მრავალრიცხოვანი სამსახურებრივი მივლინებებიდან საზღვარგარეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი 1964 წლის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც საბჭოთა კავშირის პირველი ახალგაზრდული დელეგაციის შემადგენლობაში ესტუმრა.

— ძლიერ მახარებს ჩემს ქვეყანაში, დამოუკიდებელ საქართველოში მიმდინარე პროცესები, ბრძოლა სიახლეების დანერგვისთვის, რომ საქართველო ხდება დემოკრატიული და ცივილიზებული ქვეყანა, რაშიც მონაწილეობის მიღება, დადებითი და პატრიოტული მუხტის შეტანა პირადად ჩემს გადაუდებელ მოვალეობად მიმაჩნია, — ამბობს ბატონი გურამ გუნავა. **— ამ მიზნით მთავარ ამოცანად ვთვლი ქვეყნის ტერიტორიულ გამთლიანებას, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გათავისუფლებას სეპარატისტული ჯგუფებისგან. ომის დაწყებამდე არაერთხელ ვიყავი მივლინებული აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში... სამეგრელო-ზემო სვანეთის ბიუროს უფროსად მუშაობის პერიოდში, მთელი ჩემი საქმიანობის ძალიან დიდ ნაწილს სისტემატურად ვახმარდი აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხებს, ლტლოვილები გამუდმებით გრძნობდნენ ყურადღებასა და იღებდნენ დახმარებას სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად, ფინანსური დავალიანებების აღმოსაფხვრელად თუ სხვა საჭირბოროტო მნიშვნელოვანი პრობლემების უზრუნველსაყოფად. ლენტეხის, აბაშისა და ზუგდიდის რაიონების, ასევე ქალაქ ზუგდიდის რაიონის მოსახლეობას არაერთხელ წამოუყენებია მოთხოვნა, მონაწილეობა მიმეღო ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტის არჩევნებში მაჟორიტარული წესით, ასევე მმართველობით ორგანოებში რაიონების ხელმძღვანელ ორგანოებში ასარჩევად.**

შრომითი, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, როგორც ზემოთ ითქვა, ბატონ გურამ გუნავას არაერთი მაღალი სახელმწიფო ჯილდო აქვს მიღებული, მაგრამ მავანთა მხრიდან მიკერძოებული დამოკიდებულება და წყენაც ბევრი ახსოვს, თუმცა ამან მის ენერგიულ ნატურას, ბუნებით ნაბოძებ სიმხნევესა და მზიან ოპტიმიზმს ბევრი ვერაფერი დააკლო. ახალგაზრდობაშივე შესანიშნავი ოჯახი შექმნა — ცოლად შეირთო ქალბატონი **ნანული მხეიძე,** რომელთანაც ქალ-ვაჟი — **გურანდა** და **თორნიკე** შეეძინა. პირველი ექიმია, მეორე — ფინანსისტი და, რაც მთავარია, ბატონ გურამს ჰყავს შვილიშვილები — ნინო, გიორგი და ირაკლი.

ყოველივე ზემოთქმული ბატონ გურამ გუნავას ბიოგრაფიის, ასე ვთქვათ, ოფიციალური თარიღები და გარემოებებია, მაგრამ რვა ათეული წელია, თუნდაც სიცოცხლის საშუალო ასაკის ამჟამინდელი მომატების პირობებში, ნამდვილად დიდი დროა, როგორც თავად ამბობს, „თითქმის საუკუნის ტოლი“, რომლის სავალზე აუარება წინააღმდეგობა, ფათერაკიც კი შეხვედრია, თუმცა ბევრი სასიხარულო ამბავიც მომხდარა როგორც ქვეყნის, ისე მის პირად ცხოვრებაშიც.

დავიწყოთ იმით, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა მამებისა და, მით უმეტეს, პაპების თაობის მოღვაწეობას არათუ არაერთგვაროვნად აფასებს, არამედ ზოგჯერ სულაც ყოვლად გაუმართლებელი ტენდენციურობით უდგება. თუმცა ეს, ცხადია, ყველას როდი ეხება და ამის დასტურად გაზეთ „ამერ-იმერის“ 2000 წლის ოქტომბრის ნომერში გურამ გუნავასადმი მიძღვნილი ჟურნალისტ **ლეილა ნოდიას** სტატიის „ჭეშმარიტებას არ სჭირდება ღალატი“ ამონარიდი გვინდა შემოგთავაზოთ:

„დღევანდელი გადასახედიდან პარტიულ მუშაკებს სხვანაირი თვალით უყურებენ, მაგრამ იყო ხალხი, ვინც მართლა გულით, ენერგიით, თავდაუზოგავად სჭედდა ქვეყნის, ხალხის ბედნიერებას. მათ შორისაა გურამ გუნავა. ლენტეხის ეპოპეაზე წიგნი უნდა დაიწეროს, ფილმი უნდა გადაიღონ, რომ მომავალმა თაობამ ისწავლოს, მაგალითი აიღოს აღმშენებელი კაცის ცხოვრებიდან.

...გურამ გუნავა დალოცვილია. დიახ, იქ თემს მკაცრი კანონები აქვს. იციან, ვინ უნდა დალოცონ, პირველი პრეცედენტი ბატონ გურამთან დაუშვეს, რომ რაიკომის მდივანი თავისი ოჯახით თემმა დალოცა. ეს თავისით არ მოდის, ხალხი ბრძენია. მით უმეტეს სვან კაცს რას გამოაპარებ, მაგრამ გურამ გუნავამ ეს მართლაც დაიმსახურა...

...ლენტეხში დღესაც თუ რამ სადავოა,

თუ რამ გადასაწყვეტია, ჩამოდიან ბატონ გურამთან, ჩამოსხდებიან და გადაწყვეტილებას იღებენ. ბატონი გურამის სიტყვა მათთან ძალიან ჭრის“.

ლენტეხის რაიონში ბატონ გურამ გუნავას რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობაზე ჭეშმარიტად მამულიშვილური შემართებით მუშაობის სრულად წარმოსაჩენად, ზემოთ მოყვანილ ამონარიდს შეგვიძლია დავუმატოთ ფრაგმენტიც მწერალ **ნუგზარ წერეთლის** ნარკვევიდან **„საქართველოს ყველაზე რომანტიკულ კუთხეში“:**

„გაკეთებით კი ძალიან ბევრი გაკეთდა, რაც იყო დასახული იმაზე გაცილებით მეტიც კი... ახალმა რაიკომის მდივანმა, უპირველეს ყოვლისა, ხალხის, რაიონის მშრომელების სიყვარულის დამსახურება შეძლო. ხალხი დარწმუნდა, რომ ის მხოლოდ მათი ბედნიერებისთვის იბრძოდა და დანდობილად გაჰყვა უკან. ტრადიციულად ისეა, რომ ამაყი და ბუნებით კეთილი სვანები იმას გაჰყვებიან, ვინც მართლა უყვართ და ენდობიან“.

დაგვეთანხმებით, პატივცემულო მკითხველო, რომ ეს სიტყვები მუხლჩაუხრელი შრომის დიდი დაფასებაა, მათ დამსახურებას დღენიადაგ საკუთარი ხალხის გვერდში დგომა სჭირდება. ბატონ გურამ გუნავას შრომით ბიოგრაფიაში უდიდესი ადგილი მშობლიური სამეგრელოს აბაშის რაიონს უკავია, რომელშიც მოღვაწეობის შესახებ ინტერნეტ-პორტალი quardian.ge შემდეგს წერს:

„ბატონი გურამ გუნავა იმ კაბინეტში, სადაც დღეს ზის, კომუნისტების დროსაც იჯდა, მაშინ აბაშის რაიკომის პირველი მდივნის სავარძელში, თუმცა ცოცხალი და საოცარი ენერგიის პატრონს სავარძელში ჯდომასა და რუტინულ კაბინეტურ საქმიანობას ყოველთვის ხალხთან შეხვედრები, რაიონის ყველა ფენის მოსახლეობასთან უშუალო გასაუბრება და საქმის ადგილზე გაცნობა უფრო იზიდავდა და ასეთი ტემპით დაიწყო თავისი საინტერესო საქმიანობა მან ჯერ ენგურჰესის მშენებლობაზე, როგორც პარტიულმა ლიდერმა, შემდეგ კი განაგრძო როგორც ლენტეხისა და აბაშის რაიკომების პირველმა მდივანმა, კონტროლის პალატის მაღალჩინოსანმა და დღეს ისევ აბაშის გამგებელმა“.

ჟურნალისტის კითხვას — **„ხომ არ ნანობთ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობას თქვენი ცხოვრების უდიდესი ნაწილი დაუთმეთ და უფრო ადრიდან არ შეუდექით ბიზნესს?“** — ბატონი გურამი ასე პასუხობს: — **„სინანულით არ ვნანობ, სინანული მაშინ მექნებოდა, როცა ჩემს განვლილ გზაზე და თანამდებობაზე მუშაობისას არ გამომსვლოდა იმ პროექტების განხორციელება, რამაც დადებითი კვალი დაამჩნია როგორც ლენტეხის, ისე აბაშის რაიონებს“.**

ინტერვიუს დასასრულს კი ჟურნალისტი დასძენს: **„ბატონ გურამ გუნავას მხოლოდ აბაშის მუნიციპალიტეტის წარმატება არ ახარებს, მას არანაკლებ უხარია, რომ ინფრასტრუქტურა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც ვითარდება, მოსწონს ახალი ქალაქი ანაკლია, რომელიც მისი ინიციატივით დავათვალიერეთ და ამბობს, რომ ანაკლიის პორტის აშენების შემდეგ მთელ შავიზღვისპირა რეგიონს სრულიად ახალი ეკონომიკური დატვირთვა მიეცემა...**

...ბატონმა გურამმა გვითხრა, რომ საკადრო ცვლილებები კანონზომიერი მოვლენაა და მასაც აუცილებლად ჩაანაცვლებენ, თუმცა ძნელი წარმოსადგენია ასეთი ენერგიული და უნიკალური ბიოგრაფიის მქონე ადამიანი ვინმემ ასე მარტივად ჩაანაცვლოს“...

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, პატივცემულო მკითხველო, რომ სანამ ჩვენს სასიქადულო, ჭარმაგ თანამემამულეზე, ბატონ გურამ გუნავაზე წინამდებარე ნარკვევის წერას შევუდგებოდი, მის ბიოგრაფიაზე, შრომით და სახელმწიფო-საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ზოგადად ცხოვრების გზისა და ზოგიერთი განსაკუთრებულად ღირსშესანიშნავი ეპიზოდის შესახებ საკმაოდ ვრცელ მასალას გავეცანი. ამდენად, ბოდიში მინდა მოვიხადო სხვადასხვა გამოცემიდან ამონარიდების სიმრავლისთვის, თუმცა, დარწმუნებული ვარ, მისი პიროვნების უკეთესად წარმოჩენისთვის ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

„არსებობენ საქმის ერთგული ადამიანები, რომელთა საქმიანობას ჟამთასვლა არათუ აფერმკრთალებს, არამედ კიდევ უფრო აბრწყინვალებს. ასეთი ადამიანები თავიანთი შემოქმედებით, ადამიანებთან ურთიერთობებით გარკვეულ გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე. მათ არ ივიწყებს მადლიერი შთამომავლობა, სწორედ ამგვარი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება ბატონი გურამ გუნავა. კაცი, რომელმაც „დროის მექანიზმს“ გაუძლო და მთელი თავისი ცხოვრება სიკეთის კეთებას, ჭეშმარიტების ძიებასა და აღმშენებლობას მიუძღვნა“, — წერს ჟურნალი **„გზა მომავლისა“** 2003 წლის ივლისში სტატიაში **„გურამ გუნავა — ადამიანი, რომელმაც „დროის მექანიზმს“ გაუძლო“.**

მეტად საგულისხმოა ბატონ გურამ გუნავას დახასიათება, რასაც მისი მეგობრები, ბატონები **თამაზ ცანავა** და **ვაჟა ფიფია** აძლევენ:

„კარგი კაცობა და ვაჟას კოდექსი მეტად ტევადი ცნებებია. იგი ჭეშმარიტების და სიკეთის კანონით ცხოვრებას ნიშნავს. თუ ეს ასეა, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ გურამ გუნავას სახით მის ოჯახს, გვარს, რაიონს, სამშობლოს ჰყავს კარგი კაცი, კარგი ადამიანი და პიროვნება. ამ დახვეწილმა ინტელიგენტმა და საზოგადო მოღვაწემ თავისი ქვეყნის წინაშე მოვალეობა იკისრა და ამ ტვირთსაც ვაჟკაცურად ატარებს“.

ნახევარ საუკუნეზე გაცილებით ხანგრძლივი, ნაყოფიერი შრომითი, სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობის გზაზე, რაღა თქმა უნდა, აუარება მწარე და ტკბილად გასახსენებელი აქვს, თუმცა მაინც ერთი ამბავი გამოარჩია და გაიხსენა, რომელიც აბაშის მუნიციპალიტეტში გამგებლად მუშაობის პერიოდს განეკუთვნება:

2009 წლის 16 ოქტომბერს საქართველო-ჩეხეთის მეგობრულ ურთიერთობათა მკვიდრად ნაშენებ სახლს „კიდევ ერთი აგური“ მიემატა. ამ დღეს თბილისის მერიაში აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა გურამ გუნავამ და ჩეხეთის ქალაქ იევიჩკოს მერმა, ბატონმა **რომან მილერმა** დამეგობრების აქტს მოაწერეს ხელი.

ვასილ მჭავანაძე, იური ჭედია, ლევთერ რიგვავა, გურამ გუნავა

* * *

რა თქმა უნდა, კიდევ უამრავის გახსენება შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ახლა უკეთესი იქნება მის რამდენიმე მოსაზრებას გავეცნოთ ზოგიერთ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ ცხოვრებისეულ საკითხზე.

— გამგებლობა იმას ნიშნავს, მოსახლეობას ემსახურო და, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, მოუგვარო ის პრობლემები, რომლებიც მის წინაშე დგას;

— ნატოში გაწევრება ჩვენი უმთავრესი ამოცანაა;

— რუსეთში არიან ადამიანები, რომლებსაც საქართველოსა და ქართველების მიმართ დადებითი დამოკიდებულება აქვთ. მსურს, მეგობრული დამოკიდებულება გვქონდეს;

— ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნება მესახება მხოლოდ მსოფლიო თანამეგობრობის დიდი ძალისხმევით და დახმარებით;

— პოლიტიკა არ არის ბინძური საქმე, რატომ უნდა იყოს ბინძური, თუკი ის ხალხის კეთილდღეობას ემსახურება?

— პიროვნებებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული;

— თანამდებობა სტიმულია, ყველას უჭირს თანამდებობიდან წასვლა;

— თანამდებობის პირმა ყოველთვის უნდა გათვალოს, მის რა გადაწყვეტილებას რა გავლენის მოხდენა შეუძლია ხალხზე და ქვეყანაზე;

— ეჭვიანი არ ვარ, საკმაოდ გახსნილი ვარ;

— კონფლიქტურ სიტუაციებში საკმაოდ ემოციური ვარ, თუმცა კონფლიქტსაც გაჩნია. ისე, საკმაოდ ემოციური ვარ;

— ფული აუცილებელია ცხოვრებაში, უბედურებაა, როცა დიდი ფული ცვლის ადამიანს და ადამიანი ადამიანობას კარგავს;

— ზომიერი კრიტიკა მისაღებია;

— მხოლოდ გაწონასწორებულ ადამიანებთან ვგრძნობ თავს კომფორტულად, რომლებსაც უყვართ საკუთარი ქვეყანა და ოჯახი;

— ოჯახი უნდა იყოს შეუვალი, მტკიცე;

— ვერ ვიხსენებ შემთხვევას, მშობლებს დავესაჯე და მათთვის რამე დამემალოს;

— როცა თანამდებობის პირი ხარ, ბევრი გაუთვალისწინებელი პრობლემა გხვდება, ამ დროს ხშირად უნდა გარისკო;

— ნებისმიერი მარცხი არასასიამოვნოა;

— მედია უნდა იყოს თავისუფალი და ობიექტურად ასახოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები;

— მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ;

— საყვარელი ქართული კინოფილმია **„გიორგი სააკაძე“;**

— საყვარელი ქართული სპექტაკლიდან **რომელი ერთი დავასახელო?..**

— მიყვარს ქართული ხალხური მუსიკა;

— სასმელებიდან ღვინო ყველაფერს **მირჩევნია;**

— კაცმა სასმელი ზომიერად **უნდა დალიოს;**

— ყველა გემრიელად მომზადებული **კერძი მიყვარს;**

— სასიამოვნო მოგონებები **უამრავი მაქვს...**

* * *

ალბათ, უპრიანი იქნება აქ დავემშვიდობოთ ამ ნარკვევის არაჩვეულებრივად საგულისყურო გმირს, ბატონ გურამ გუნავას და მივულოცოთ მკითხველთა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის სახელით 80 წლის იუბილე, ვუსურვოთ ჯანმრთელობა, სამშობლოს, საყვარელი საქმის, საკუთარი ოჯახის სიკეთე და წარმატება.

ოთარ ტურაბელიძე

ბატონ გურამ გუნავას

აბაშელების დიდ ქომაგს, საიმედო მეგობარს, ჭირსა და ლხინში ყველას მხარში მდგომს, უკეთილშობილეს პიროვნებას დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ 80 წლის იუბილეს.

დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა, აბაშელების თქვენდამი უსაზღვრო სიყვარული და ყოველგვარი ადამიანური ბედნიერება ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური, ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ღირსეული ოჯახის მფარველი.

პატივისცემით, დარეჯან ელიაძე, ლილი გუგუშვილი, მარინა კანდელაკი, რომან კიზირია, სპარტაკ ქოგულია, გალაკტიონ კუცია, ზაურ თელია, კუკური ლასარეიშვილი.

ზუგდიდი ამაყობს თქვენით!

საზოგადოება „ზუგდიდელის“ სახელით ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, იური გუგუჩია, მურმან ნაჭყებია, კარლო ვეკუა, თამაზ ცანავა, ნუგზარ მალაშხია, ალვერ იზორია, გივი სოსელია, ნუგზარ სართანია, მურთაზ ფაცაცია, ნათელა ფიფია, მარინა ჯიქია, გული აგუმავა, ზურაბ გოგოხია, კლიმენტ კიკალიშვილი, ვაჟა ფიფია დაბადებიდან 80 წლის იუბილეს ულოცავენ უახლოეს მეგობარს, ერის სასახელო შვილს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, საზოგადოება „ზუგდიდელის“ საპატიო წევრს, ბატონ

გურამ გუნავას

და უსურვებენ კვლავ ასეთივე შემართებით ეღვაწოს ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

---

17 დეკემბერს 80 წელი უსრულდება სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, სასიქადულო მამულიშვილს ბატონ გურამ გუნავას ვულოცავთ საიუბილეო თარიღს!

ვუსურვებთ დღეგრძელ, ჯანმრთელ, ბედნიერ სიცოცხლეს თავის შესანიშნავ ოჯახთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად.

კვლავაც წარმატებებით ეღვაწოს ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით
ნანული (ნანა) გუნია, ედუარდ კავთიძე, გიორგი ლაგვილავა.

ბატონ გურამ გუნავას

არ ვიცი, როგორ დავიწყო,
თუმცა ბევრი მაქვს სათქმელი,
შენს ღირსებაზე მეტყველებს
შენ მიერ ქმნილი საქმენი.

რაც დღემდე გიკეთებია,
რასაც აკეთებ დღესაო,
მიუხედავად ასაკის,
ეთამაშები მზესაო.

ღვთის ნებით დაბადებულხარ,
აზრით, გონებით ნათელი,
სულით, ზნეობით, კაცობით
ხარ საამაყო ქართველი.

სადაც კი ფეხი დაადგი,
აქციე ედემ-ბაღნარად,
გვეამაყები სუყველას,
შენ ხარ ცოცხალი ლეგენდა.

ხალხისგან ზღვა სიყვარული
დაიმსახურე ღვაწლითა,
არ ვიცი, ვის შეგადარო,
სადარო ლომთა, არწივთა.

მამულს, ენას და ჩვენს რწმენას
გულში ინახავ მყარადა,
ღვთის მცნებებს ემსახურები
მთაში მყოფი თუ ბარადა.

შენს ღვაწლს და ამაგს აფასებს
ხალხი იმიერ-ამიერ,
იხარე ორსავ სოფელში,
იყავი მრავალჟამიერ!

იხარე ორსავ სოფელში,
იხარე მრავალჟამიერ!

პატივისცემით და ქრისტესმიერი სიყვარულით
ნანული (ნანა) გუნია

„ДЕТЕКТИВИС ДЕДОФЛИС“ ДЕВИЗИС САИДУМЛОЕБА

АГАТА КРИСТИС თავის დევიზად შემდეგი გამონათქვამი მიაჩნდა: „რაც რამ დედამიწაზე არსებობს, ყველაფერი დააჭაშნიკე, თუნდაც ერთხელ“. და არ იღლებოდა ამ მოსინჯვა-დაჭაშნიკებით, მუდმივად ეძებდა თავის თავს და თავის ადგილს ცხოვრებაში. ჯერ კიდევ ყმაწვილი აგატა აზარტით იცვლიდა სკოლებს, მასწავლებლებს და პროფესიებს. ის ყოველთვის იმის ცდაში იყო, ის ეკეთებინა, რაც ნამდვილ კმაყოფილებას მოჰგვრიდა.

მარემ აქვე ჩამოვთვალოთ ის პროფესიები, რომელ პროფესიებშიც წარემატებოდა: პიანისტობა, კომპოზიტორობა, პოეტობა, მედდობა, ფარმაცევტობა, ბუღალტრობა, სტენოგრაფისტობა, ფოტოგრაფობა და არქეოლოგობაც კი. უნდა ითქვას, რომ მწერლობა აგატა ქრისტისთვის იმდენად პროფესია არ ყოფილა, რამდენადაც ერთ-ერთი გატაცება. ის დიდხანს არ მიიჩნევდა თავს პროფესიონალ მწერლად და „რას საქმიანობთ?“ გრაფაში წერდა: „ქმრიანი დამა ვარ“.

აგატა ქრისტი ავანტიურისტიც იყო. პირველი აეროპლანები რომ გამოჩნდა, მან აუცილებლად გაფრენა გადაწყვიტა, ისწავლა ავტომობილის ტარება, უყვარდა ცხენით ჯირითი, სერფერზე სრიალი, ბევრს მოგზაურობდა. ყოველი ახალი თავგადასავალი თავისი საიდუმლოებით იზიდავდა, რომელთა მოკვლევაც თავისი ლიტერატურული შთაგონების ცეცხლს უღვივებდა.

МИУЧВДОМЛИС САИДУМЛО

РАГИНДАРА ადამიანის ცხოვრებაში ათასგვარი მიუწვდომელი რამ არის. ფსიქოლოგები ფიქრობენ, რომ მიუწვდომელი უნდა განსაზღვრო და შეურიგდე. უკეთუ იმ დარგში უცილობლობ, სადაც შენსას ვერ გაიტან, მაშინ შენ თვითონ ინგრევ საკუთარ თავს. ამოცანა ის არის, რომ აუხდენელს მიაგნო და გვერდზე მიაგდო. ასე მოიქცა აგატა ქრისტი, როცა ოპერის მომღერლობაზე უარი თქვა, თუმცა, სიმღერას კი სწავლობდა. აგატას ძლიერი სოპრანო ჰქონდა, მაგრამ სცენაზე გამოსასვლელად სითამამე არ ჰყოფნიდა. მან თავისი ტემპერამენტი, ძლიერი აგზნებადობა სიუჟეტების შეთხზვასა და თავისი დეტექტივების კანთიელ იერსახეთა შექმნას მოარგო.

АГАТАС ОЖАХУРИ БЕДНИЕРЕБИС САИДУМЛО

АГАТА КРИСТИС პატარაობისას იყო ოჯახური თამაში: გოგონები თავიანთი გარემოცვიდან ორ-სამ გიჟუნას ხელის კვრით გამოიგდებდნენ და რომელიმე ნორჩ ლედის სიკვდილის შიშით იმათგან მომავალი ქმარი უნდა აერჩია. ამრიგად, გაჩნდა ერთმნიშვნელოვანი ტესტი, რაც ქმრის არჩევაში ეხმარებოდათ. საჭირო იყო, არჩეული ქმარი წარმოედგინა ბეჩავად, თვალებაცრემლებული, შეუხედავი, არასანდომიანი, საწყალი და ცოტა თავხედიც, და თუკი ლედი იმის მიმართ თუნდაც ოდნავ სინაზეს არ იგრძნობდა, უნდა ეგრევე გულიდან ამოეგდო და უკან მოუხედავად გაქცეულიყო.

უნდა აღინიშნოს, რომ აგატა ქრისტის ორივე ქორწინება ბედნიერი გამოდგა. პრაქტიკულად ავიაციის ღარიბი ოფიცერი არჩიბალდი გოგონამ არაერთ შეძლებულ საქმროს დაამჯობინა, რადგან ის „უცნობი“ გამოდგა და მისი მხრიდან შეუძლებელი იყო ყოველგვარი საპასუხო მოქმედების განჭვრეტა. ამიტომ ვერ შეამჩნია ცუდი, გულისამრევი რამ საქციელი. მეორე უღელტოლი მაქს მელოუენი აგატაზე უმცროსი იყო, მაგრამ დიდი უპირატესობა ჰქონდა სხვა თაყვანისმცემლებთან შედარებით: მაქს მელოუენი არქეოლოგი იყო, მაშასადამე, ყოველდღიურ საიდუმლოებასთან ჰქონდა საქმე.

САКВЛАО ЕКСПЕРИМЕНТИС САИДУМЛО

„ДЕТЕКТИВИС ДЕДОФАЛС“ ყოველთვის იზიდავდნენ ის ადამიანები, ვისთვისაც დრო ისე არ გადიოდა, როგორც თვითონ იმისთვის, რათა იმათი საიდუმლო გაეგო, ქრისტი იმავე რიტმით ცხოვრობდა: საგანგებოდ იგვიანებდა მატარებელზე და ტრამვაიზე, სულაც არ ფიქრობდა იმაზე, დააგვიანდებოდა თუ არა. ის მუდმივად გატაცებული იყო აზიით, ვინაიდან როგორც კი საზღვარს გადაკვეთდა, შემდეგი რამ ხდებოდა: დრო არცრა როლს აღარ თამაშობდა. აქედან კი დაასკვნა – ამ მოვლენის არსია, ის ფათიფუთი და მღელვარება სულაც საჭირო არ არისო.

როგორც კი ეს შეიგნო, ეგრევე შეეშვა ზედმეტ განცდებსა და მღელვარებას. ერთხელ ექსპედიციაში აგატა ქრისტის მანქანა უდაბნოში ქვიშაში ჩაეფლო. ქრისტი ვითომც არცრა მომხდარაო, დასაძინებლად დაწვა. ამ ამბის შემდეგ მაქს მელოუენმა ცოლობა სთხოვა აგატას.

აგატა ქრისტი მორჩილი გახდა და უშფოთველად ხვდებოდა ბედის ყოველგვარ შემოტევას. როგორც თავად ამბობდა, ამ საქმეში დიდად დაეხმარა მფრინავ ჯონ უილიამ დანის ესეის – „საკვლაო ექსპერიმენტის“ კითხვა. შესაძლებელია ასეც იყო, ანდა სულაც ცხოვრების გამოცდილებაში და იმ მოვლენის საფუძვლიან ანალიზში, რომელმა მოვლენამაც დაანახვა, რომ სიმშვიდე საუკეთესო პასუხია ყოველივეზე, რაც ჩვენ გარშემო ხდება.

АГАТА КРИСТИС ГАУЧИНАРЕБИС САИДУМЛО

ადრე უკვე ვთქვით, რომ აგატა ქრისტი ერთხელ გაუჩინარდა და პოლიცია შეუდგა იმის ძებნას.

1926 წლის 3 დეკემბერს პოლიციის უბნების კედლებზე შეტყობინება გაჩნდა იმის თაობაზე, რომ ქალაქ სანინგდეილიზში თავისი სახლიდან გაუჩინარდა მისის აგატა მერი კლარისა ქრისტი. ცოტა ხნის შემდეგ ის ერთ პატარა სანატორიულ დაბაში იპოვეს. იქ როგორ მოხვდა და თავს რა გადახდა, აგატა ქრისტიმ ვერ ახსნა. ის სრულ ამნეზიაზე ლაპარაკობდა, და ძლივს იცნო ოჯახის წევრები.

მაგრამ აჯობებს ყველაფერი თანმიმდევრობით ვთქვათ.

1926 წლის დამდეგს აგატა ქრისტის ოჯახი ახალ სახლში გადავიდა ბერქშირის საგრაფოში. ახალი რომანით გატაცებული აგატა ქრისტი წერდა „როჯერ ეკროიდის მკვლელობას“. ამ დროს არჩიბალდმა, ქმარმა აგატასი, ნენსი ნილთან რომანი გააჩაღა.

როგორც კი ოჯახი ახალ სახლში გადავიდა, არჩიბალდმა ცოლს გაუმხილა, სხვა ქალი შემიყვარდა, ნენსი და ცოლად უნდა მოვიყვანოო. აგატა ქრისტისთვის ეს ახალი ამბავი მეხად გასკდა. სწორედ ამ მძიმე დღეებში „დეტექტივის დედოფალი“ გაქრა, თვალთაგან მიფანიერდა. აგატა ქრისტის ეს გაუჩინარება ათწლეულის ყველაზე უფრო დაუვიწყარი სკანდალი გახდა.

მთელი ამ დღეების მანძილზე პოლიცია და ჟურნალისტები უშედეგოდ ცდილობდნენ მწერლის პოვნას, ქვეყანა აგატაზე ლაპარაკობდა.

1926 წლის 4 დეკემბერს დილაადრიან მთელ ინგლისში გამოცხადდა აგატა ქრისტის გაუჩინარების ამბავი იმის შემდეგ, რაც ქალაქ ნიულენდ კორნერის შორიახლო მწერლის ცარიელ ავტომობილს მიაგნეს. ავტომობილი ანთებულფარებიანი იდგა კირის კარიერის პირას, მაგრამ ავტომობილის დამუხრუჭებისა და გაძარცვის კვალი არა ჩანდა.

ამ დროს არჩიბალდმა თავის საყვარელთან ერთად დაბა გოუდელმინგში გაისეირნა დროის გასატარებლად და ცოლის გაუჩინარების ამბავი რომ აცნობეს, გული არ გახეთქია. პირიქით, გაბრაზდა, დასვენება ჩამიშხამაო. პოლკოვნიკმა არჩიბალდმა გულგრილად განაცხადა, მე იმისი ადგილსამყოფელი არ ვიცი, უკანასკნელად მაშინ ვნახე, სამსახურში რომ მივდიოდიო. მან ისიც თქვა, სულ არ დავეძებ, სად არისო.

როგორც კი პოლკოვნიკი ქრისტი შინ დაბრუნდა, მაგიდაზე წერილს მოჰკრა თვალი, აგატა საყვედურებით ავსებდა მოღალატე ქმარს. წერილს რომ ტოვებდა ჰოლში, მაგიდაზე, აგატა ქრისტი ვარაუდობდა, რომ ის წერილი პოლიციას ჩაუვარდებოდა ხელში, მაგრამ ასე არ მომხდარა. როგორც კი პოლკოვნიკმა წერილი წაიკითხა, გულმოსულმა ეგრევე დაწვა.

ამ დროს პოლიცია მწერლის ავტომობილს იკვლევდა, პოლიციელები გაკვირვებულნი იყვნენ, რატომ დაეტოვებინა აგატა ქრისტის მანქანაში ქურქი, ბარგიბარხანიანი ჩემოდანი, რატომ არ წაეღო ხელჩანთა. გარეთ კარგა გვარიანად ციოდა, თუმცა, მწერალი უთბილო ტანსაცმლით წასულიყო.

ოჯახის ნაცნობები და მეგობრები იტყობინებოდნენ, არჩიბალდსა და აგატას შორის ურთიერთობა ბოლო ხანს ძალიან გაფუჭდაო, რის შემდეგაც პოლკოვნიკი პოლიციის ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა. მწერლის საქმე ეჭვებითა და გაურკვევლობით იყო დაბურული. პოლიცია ნაბიჯ-ნაბიჯ ადგენდა აგატა ქრისტის ცხოვრების მოვლენებს გაუჩინარებამდე შვიდი დღის განმავლობაში.

არჩიბალდს თანდათან შიში იპყრობდა, ჩემგან ღალატის გამო აგატამ ემანდ თავი არ მოიკლაოს. ის სულაც არ ფიქრობდა იმაზე, რომ აგატას ვეღარ ნახავდა, მხოლოდ იმით იყო შეწუხებული, ამ ამბავმა ნენსისთან ურთიერთობა არ გამიფუჭოსო.

ამასობაში აგატა ქრისტის ძებნა გრძელდებოდა მთელი კვირა, 5 დეკემბერს პოლიციამ არ იცოდა, რომ კიდევ იყო ერთი წერილი, რომელიც აგატამ ვულიჩში თავის ძმას მონტის გაუგზავნა. იმ პარასკევ დილით, როცა მან წერილი გაგზავნა, პოლიციამ მწერლის ავტომობილს მიაგნო. მონტიმ წერილი როგორც კი მიიღო, მაშინვე პოლიციას აცნობა.

ორი დღის შემდეგ პოლიციას აცნობეს, ოლდბერის ახლოს ქალი ვნახეთ, რომელიც აგატა ქრისტის ძალიან ჰგავდაო. მაძებრები უმალ გაქანდნენ დაკარგულის საძებნელად. მიათვალიერ-მოათვალიერეს ახლომახლო ტყიანი ადგილები, მაგრამ ვერცრა სამხილი ვერ იპოვეს. ამასობაში მწერლის იდუმალი გაუჩინარების ამბავმა ამერიკის შეერთებულ შტატებამდე მიაღწია. გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“ დიდი ტირაჟით გამოვიდა კარგა მოზრდილ სათაურწამძღვარებული: „ინგლისელი მწერლის აგატა ქრისტის იდუმალი გაუჩინარება“. მკითხველი დაიძაბა მწერლის შესახებ ახალი ამბის გაგების მოლოდინში.

სადაც ცარიელი ავტომობილი იპოვეს, იმ ადგილსა და სადაც პოლკოვნიკი ნენსი ნილთან ერთად დროს ატარებდა, იმ სახლს შორის პოლიცია კავშირს ამაოდ ეძებდა. მაძებარნი ამუშავებდნენ მწერლის თვითმკვლელობის ვერსიას, მაგრამ აბა, რაღა საჭირო იყო სახლიდან თოთხმეტი მილის მანძილზე გაქცევა? ანდა რატომ არ მიმართა აგატა ქრისტიმ მუხრუჭს, როცა ავტომობილი ფერდობზე დაეშვა? თვითმკვლელობაზე მაძებართა ვერსიის სასარგებლოდ ისიც ლაპარაკობდა, თუ რატომ არ იახლა თან აგატა ქრისტიმ თავისი ტერიერი, რომელიც მუდამ დაჰყავდა მოგზაურობაში.

ორშაბათს პოლიციას უკვე ნიულენდ კორნერის ადგილობრივი მცხოვრებნიც შეუერთდნენ, რომელთა დახმარებით შესაძლებელი გახდა შემოგარენისა და ტყიანი ადგილების მოხილვა.

ამასობაში პოლკოვნიკი ქრისტი ვექილთან ერთად სკოტლანდ-იარდში ჩავიდა და აგატა ქრისტის ძებნაში მონაწილეობის ნება ითხოვა, მაგრამ უარი უთხრეს, სანამ ბერქშირის პოლიცია ოფიციალურად არ ითხოვს თქვენგან დახმარებას, კვლევაში ჩარევის უფლება არ გეძლევათო. პოლკოვნიკი წავიდა და შინ დაელოდა ახალ ამბებს, პოლიციას კი უთხრა, ოჯახში არცრა უთანხმოება არა გვქონიაო. ეს ყველაფერი მსახურთა და მოშურნეთა მხრიდან ცილისწამება და ბინძური ჭორჭურიაო, მაგრამ მოახლე ქალმა პოლიციას განუცხადა, გაუჩინარების კვირაძალს დილით ცოლ-ქმარმა ლამის დაჭამა ერთმანეთიო.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №244-247

„ВИСАЦ НАЛДАД АРЦРОДИС АР ХЧВАРЕБИА, ИМАС АРЦРОДИС НАЛДАД АР УЦХОВРИА“

– ასე ამბობდა აგატა ქრისტი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

◎ ძიუდო

ბექაურის ტრიუმფი

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართველ ძიუდოისტებს არაერთი გამარჯვება მოუპოვებიათ. მარტო ის რად ღირს, რომ ამ წონაში ზურაბ ზვიადაური და ირაკლი ცირეკიძე ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. და აი, კიდევ ერთი წარმატება — ჩინეთის მასტერსზე ლაშა ბექაურმა ოქროს მედალი მოიპოვა. ქართველმა ფალავანმა სტარტზე აზერბაიჯანელ მამადალი მეჰდიევს მოუგო, მერე მის გზას ჩინელი ბუ ჰებილი და იაპონელი სანშიტრო მურაო გაუყენა; ნახევარფინალში თურქ მიკაილ ოზერლერს აჯობა და გადამწყვეტ შეხვედრაში მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონს, ესპანეთის სახელით მოასპარეზე ნიკოლოზ შერაზადიშვილს დაუპირისპირდა. ძირითადი დროის მიწურულს ბექამ გაიმარჯვა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

100 კოლოში ვარლამ ლიპარტელიანმა მესამე ადგილი დაიკავა: ჯერ უნგრელი, ფრანგი და ებრაელი მეტოქეები ჩამოიშორა გზიდან, ნახევარფინალი კი ჰოლანდიელ მიხაელ კორელთან დათმო. დამამშვიდებლის ფინალში „ჯვაროსანთა“ კაპიტანმა არმან ადამიანი (რუსეთი) დაჯაბნა და, ვაჟა მარგველაშვილის მსგავსად, ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

ლაშა დიდია

◎ სამგო

ბირთვი შეარჩიეს



ქართველ სამბისტებს გაისად მნიშვნელოვანი შეჯიბრებები ელით. ამ ღონისძიებებისთვის მზადებას ისინი აქედანვე შეუდგნენ და უპირველესად ეროვნული ნაკრების ძირითადი ბირთვი გამოავლინეს ქვეყნის ჩემპიონატში, რომელსაც დიღმის ძიუდოს აკადემიის დარბაზმა უმასპინძლა. ტურნირში მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონ ვახტანგ ჩიდრაშვილის (57) გარდა (ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯონდო მუზაშვილმა მას დასვენების უფლება მისცა) ყველა უძლიერესი მონაწილეობდა. კვარცხლბეკზე უმთავრესად ნაცნობი სახეები ავიდნენ. სიახლე იყო 62 კილოში, სადაც ყველას თბილისელმა საბა გრიგალაშვილმა აჯობა. ამ წონაში მსოფლიოს ჩემპიონი გენადი ჩირგაძე და ევროპის ჩემპიონი თორნიკე ჭოველიძე ამჯერად ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

52 კგ. 1. ლერი ბედინაძე (ხელვაჩაური); 2. გიორგი მეხრიშვილი; 3. დიმიტრი მულაძე (ორივე - ხაშური), ირაკლი შეყილაძე (ფოთი). **57 კგ.** 1. ირაკლი კუპატაძე (საგარეჯო); 2. გივი ნადარეიშვილი (ფოთი); 3. გოგა ვარდოსანიძე (ზესტაფონი), იოსებ ცერცვაძე (ქარელი). **62 კგ.** 1. საბა გრიგალაშვილი (თბილისი); 2. ელიზბარ თურქია (ფოთი); 3. გენადი ჩირგაძე (ქუთაისი), თორნიკე ჭოველიძე (აჭარა). **68 კგ.** 1. მინდია ლილუაშვილი; 2. გაგა ბახტიძე; 3. გიორგი ლომიძე (სამივე — ზესტაფონი), მალხაზ მეტრეველი (სამაჩაბლო). **74 კგ.** 1. ლევან ნახუცრიშვილი (ბათუმი); 2. გაგი ლიჩელი; 3. ნიკა კაკაშვილი (ორივე — ქარელი), ელგუჯა ბარბაქაძე (რუსთავი). **82 კგ.** 1. ბექა ბერულავა (ზუგდიდი); 2. მიხეილ ნოზაძე (ხაშური); 3. ზაურ გაგნიძე (რუსთავი), შმაგი დვალიშვილი (ვანი). **90 კგ.** 1. პაატა ღვინიაშვილი (ქარელი); 2. თორნიკე ჯუღელი (თბილისი); 3. ლაშა ზურაბიანი (მცხეთა), ლევან დიხამინჯია (ქუთაისი). **100 კგ.** 1. დავით ლორიაშვილი (გარდაბანი); 2. ნიკა სიდამონიძე; 3. დიმიტრი ნასყიდაშვილი (ორივე — ქარელი), ნიაზ დიასამიძე (ახალციხე). **+100 კგ.** 1. ბექა ბერძენიშვილი (ბათუმი); 2. დავით რაზმაძე (თელავი); 3. გიორგი სეტიელი (აფხაზეთი), გიორგი ქავთარაძე (თბილისი).

გივი გაგუა

◎ სეზონის ფინიშზე

აჭარული კლასიკა

როგორც მოსალოდნელი იყო, ბათუმში გამართული ეროვნული თასის გათამაშება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ფავორიტ მასპინძელთა დომინაციით აღინიშნა, თუმცა, ღირსეული გამოსვლისთვის ქებას ქვემოქართლელი და გურული ფალავნებიც იმსახურებენ.

გაგაცნობთ კლასიკოსთა სეზონის ბოლო ტურნირის ჩემპიონთა გალერეას:

55 კგ — ზურაბ მაჭარაშვილი, 60 კგ — ამირან შავაძე, **63 კგ** — ლერი აბულაძე, **67 კგ** — რამაზ ზოიძე, **72 კგ** — იური ლომაძე, **77 კგ** — ბექა მამუკაშვილი, **82 კგ** — აივენგო რიკაძე, **87 კგ** — რობერტ კობლიაშვილი, **97 კგ** — რევაზ ნადარეიშვილი, **მძიმე წონა (130 კგ)** — ლევან არაბული.

გუნდური პირველობა: აჭარა — 157, გარდაბანი — 144, ოზურგეთი — 128 ქულა.

კობა კობახიძე

◎ ჩვენი საუნჯე

ონისე ბუღაძე საქართველოს ფალავანია!

თბილისში დამთავრდა წლის მთავარი შეჯიბრება საქართველოს ფალავნობაზე, რომელიც იღბლიანი აღმოჩნდა საჩხერელი ონისე ბუღაძისთვის. იგი მსგავსი შეჯიბრების ფინალში მესამედ გავიდა. წინა ორი შეხვედრიდან 2015 წელს პაატა ღვინიაშვილთან (ქარელი) დამარცხდა, 2016 წელს კი გიორგი კაციაშვილთან (კასპი) დათმო გადამწყვეტი ორთაბრძოლა. ამჯერად მის პირისპირ გიორგი ზაქარიაძე დადგა. დამატებით დროში ონისემ ეფექტური ფანდით სძლია მეტოქეს, მძიმე წონაში მასთან მარცხისთვის რევანში აიღო და საქართველოს ფალავნობა დაიმსახურა.

საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის მიერ აბსოლუტური ფალავნისთვის დაწესებული ჯილდო 33 ათასი ლარი ბუღაძეს ერგო, ზაქარიაძეს 10 ათასი გადასცეს, ხოლო მესამე ადგილზე გასულმა ნიაზ დიასამიძემ 5 ათასი ლარი მიიღო.

ფალავნობამდე ოთხ წონით კატეგორიაში გაიმართა ორთაბრძოლები. გაგაცნობთ ამ წონებსა და აბსოლუტურში გამარჯვებულ-პრიზიორთა ვინაობებს:

80 კგ. 1. გიორგი კაციაშვილი (შიდა ქართლი), 2. ზაურ გაგნიძე (ქვემო ქართლი), 3. გიორგი კანკავა (შიდა ქართლი);

90 კგ. 1. ილია ბათურიშვილი (კახეთი), 2. გოგა ქევხიშვილი (კახეთი), 3. თორნიკე ჯუღელი (თბილისი);

100 კგ. 1. ლაშა ტაველური (იმერეთი), 2. გიორგი კობაიძე (თბილისი), 3. ნიაზ დიასამიძე (სამცხე-ჯავახეთი);

+100 კგ. 1. გიორგი ზაქარიაძე (იმერეთი), 2. ონისე ბუღაძე (იმერეთი), 3. გიორგი ქავთარაძე (თბილისი);

აბსოლუტური. 1. ონისე ბუღაძე (იმერეთი), 2. გიორგი ზაქარიაძე (იმერეთი), 3. ნიაზ დიასამიძე (სამცხე-ჯავახეთი).

ლექსო ცინცაძე

◎ თარიღი

„ჯიგრის ყაურმა“

გულშემატკივარს არაფერი ეშლება — შენ მხოლოდ სპორტულ ჟინთან შერწყმული ოსტატობა აჩვენე და მის გულში სამუდამოდ დაიმკვიდრებ კუთვნილ ადგილს.

ასეთთა შორის თამამად შეგვიძლია დავასახელოთ თბილისის „დინამოს“ ოქროს თაობის ნახევარმცველი, ყუმბარისებური დარტყმებითა და ჯიგრიანი თამაშით გამორჩეული საიმედოობის განსახიერება, უკვე 70 წლის **ვახტანგ (ტუხა) ქორიძე,** რომელმაც კარიერა მშობლიური ბათუმის „დინამოს“ დაცვის ბურჯობით დაიწყო და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრობით დააგვირგვინა (4 მატჩი, 1 გოლი).

ქვეყნის თასის ორგზის მფლობელის მდიდარ კოლექციას საკავშირო ჩემპიონატების სამივე სინჯისა და ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედლებიც ამშვენებს, მაგრამ, დარწმუნებულნი ვართ, მეტსაც მიაღწევდა, რომ არა ტრავმები...

ღირსების ორდენის კავალერი და სპორტის რაინდი საყვარელ სახეობას დღეს საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა გაერთიანების პრეზიდენტის ამპლუაშიც ღირსეულად ემსახურება.

იუბილეს გილოცავთ, ბატონო ვახტანგ!

„სრ“ სპორტის რედაქცია

◎ ჩემპიონთა ლიგა

წყვილები ცნობილია



გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის წილისყრა მოეწყო და, შესაბამისად, უკვე ვიცით, როგორ გადანაწილდა 16 გუნდი პლეი-ოფის საწყის სტადიაზე.

1/8 ფინალის წყვილები:

„დორტმუნდი“ (გერმანია) — „პარი სენ ჟერმენი“ (საფრანგეთი), „რეალი“ (ესპანეთი) — „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი), „ატალანტა“ (იტალია) — „ვალენსია“ (ესპანეთი), „ატლეტიკო“ (ესპანეთი) — „ლივერპული“ (ინგლისი), „ჩელსი“ (ინგლისი) — „ბაიერნი“ (გერმანია), „ლიონი“ (საფრანგეთი) — „იუვენტუსი“ (იტალია), „ტოტენჰემი“ (ინგლისი) — „ლაიფციგი“ (გერმანია), „ნაპოლი“ (იტალია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი).

მერვედფინალის პირველი მატჩები 18, 19 და 25, 26 თებერვალს, ხოლო საპასუხო შეხვედრები 10, 11 და 17, 18 მარტს გაიმართება.

გიორგი ზოთაძე

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების „სალხინოს ოჯალეში“ ღვინის წარმოების სპეციფიკაცია

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აქვეყნებს ა(ა)იპ – სალხინოს ოჯალეშის მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადის მასალებს.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში, ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში, ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ეს ინფორმაცია შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

სალხინოს ოჯალეში

1. დასახელება: „სალხინოს ოჯალეში“

2. დამატებითი აღნიშვნები: ოჯალეში სალხინო

3. ტიპი, ფერი და ძირითადი მოთხოვნები

„სალხინოს ოჯალეში“ წითელი მშრალი ღვინოა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფერი – მუქი ბროწეულისფერი მეწამული შეფერილობით;
- არომატი და გემო (გემოზე სავსე, დახვეწილი, ხალისიანი, ექსტრაქტული და ჰარმონიული, ამ გეოგრაფიული ადგილისთვის დამახასიათებელი ჯიშური არომატით, დავარგებისას უვითარდება მკვეთრად გამოხატული ბუკეტი ხილის ტონებით;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 11 %-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 24 გ/ლ-ზე ნაკლები;
- შაქრიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4 გ/ლ-ს;
- ტიტრული მჟავიანობა არ უნდა იყოს 5 გ/ლ-ზე ნაკლები;
- სხვა მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4. წარმოების გეოგრაფიული არეალი და ზონები

სალხინოს მიკროზონა მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე ტეხურის მარცხენა სანაპიროდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ქვიბიის მთების კალთებამდე. სამხრეთ-აღმოსავლეთით მას ეკვრის სოფლები გაჭედილი და ბალდა, ხოლო ჩრდილოეთით – ნობულევი. სამხრეთ-დასავლეთით დიდი ჭყონისა და ტალერისაგან ჰყოფს მდ. ტეხური. ზღვის დონიდან სიმაღლე შეადგენს 250 მეტრს.

5. ვაზის ჯიშები

„სალხინოს ოჯალეში“ შეიძლება დამზადდეს მხოლოდ სალხინოს მიკროზონაში მოწეული ოჯალეშის ჯიშის ყურძნიდან და დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.

6. ვენახის გაშენება, სხვლა-ფორმირება და მოვლა:

- სალხინოს მიკროზონაში, ღვინო „სალხინოს ოჯალეშისთვის“ განკუთვნილი სამეწარმეო ვენახები გაშენებული უნდა იყოს 250 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან;
- ვენახის რიგთაშორის მანძილი შეიძლება იყოს 1-დან 3 მეტრამდე;
- ვაზთაშორის მანძილი რიგში – 0,8–1,5 მეტრი;
- შტამბის სიმაღლე – 60–90 სმ;
- სხვლის ფორმა – ცალმხრივი ან ორმხრივი ქართული, ან თავისუფალი.

ვაზის გაშენება, მისი გასხვლა-ფორმირება და დაცვა მავნებლებისა და დაავადებებისაგან, აგრეთვე, ნიადაგის დამუშავება, მისი განაყოფიერება და სხვა ოპერაციები ხორციელდება ყურძნის მწარმოებლის მიერ შერჩეული აგროტექნიკური ღონისძიებების შესაბამისად.

7. ყურძნის სიმწიფე, რთველი, ტრანსპორტირება:

- „სალხინოს ოჯალეში“ მზადდება მხოლოდ მწიფე ყურძნისაგან. ყურძნის შაქრიანობა კრეფის დროს უნდა იყოს 22%-ზე ნაკლები;
- ყურძნის ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ხის ან პლასტმასის ყუთებით, უჟანგი ფოლადისაგან დამზადებული ან სპეციალური საღებავით შეღებილი ძარებით;
- დაუშვებელია ყურძნის ტრანსპორტირებისას პოლიეთილენის პარკების და/ან ტომრების გამოყენება;
- ტრანსპორტირებისას ყურძენი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული შესაძლო დაბინძურებისაგან.

8. ყურძნის მოსავალი და ღვინის გამოსავალი

ყურძნის მოსავალი 1 ჰექტარ ვენახზე არ უნდა აღემატებოდეს 8 ტონას.

ღვინის გამოსავალი არ უნდა აღემატებოდეს:

- 500 ლიტრს – ერთი ტონა ყურძნიდან;
- 4000 ლიტრს – ერთი ჰა ვენახიდან.

9. ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ჩამოსხმა

„სალხინოს ოჯალეშის“ წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი მოწეული უნდა იყოს სალხინოს გაშენებული ვენახებიდან. ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება დასაშვებია მხოლოდ სალხინოს მიკროზონის ფარგლებში

ღვინო „სალხინოს ოჯალეში“ მზადდება დურდოს სრული ალკოჰოლური დუღილის გზით.

ღვინო „სალხინოს ოჯალეშის“ სამომხმარებლო ბაზარზე გატანა დასაშვებია მხოლოდ სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული სახით.

ღვინის წარმოებისას დასაშვებია მხოლოდ იმ ოპერაციების, მასალებისა და ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით.

10. კავშირი ღვინის განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციასა და გეოგრაფიულ ადგილს შორის

კლიმატი. სალხინოს მიკროზონის კლიმატის ფორმირებას განაპირობებს დასავლეთიდან შავი ზღვის სიახლოვე, ჩრდილოეთიდან კი სამეგრელოს და კოდორის ქედების მდებარეობა. ზონა მოიცავს კოლხეთის დაბლობს დაახლოებით 200-250 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან.

ამ მიკროზონაში გაბატონებულია ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი თბილი, რბილი ზამთრით და ცხელი ზაფხულით.

მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა სალხინოს მიკროზონაში მერყეობს 2000-2050 საათის ფარგლებში. სავეგეტაციო პერიოდში მზე საშუალოდ ანათებს 1500 საათის განმავლობაში.

ჰაერის საშუალო ტემპერატურა 14°C-ია. ყველაზე თბილი თვეების (ივლისი, აგვისტო) 22.5°C-ს, ხოლო ყველაზე ცივი თვის (იანვარი) ტემპერატურა +4,8°C-ს შეადგენს.

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მიკროზონაში 8562-5350°C-ია.

მიკროზონაში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა სავეგეტაციო პერიოდში შეადგენს 1070მმ-ს, ხოლო წლიური ჯამი კი – 1810 მმ-ია.

ჰაერის ფარდობითი ტენიანობის წლიური მნიშვნელობა 76%-ს უდრის.

მიკროზონაში არ აღინიშნება მდგრადი თოვლის საფარი. თოვლის საფარი საშუალოდ წარმოიქმნება იანვრის ბოლო დეკადაში, რომელიც მარტის შუა რიცხვებში ქრება. თოვლიან დღეთა რიცხვი 18-ს უდრის.

სეტყვიანი დღეების რიცხვი წელიწადში საშუალოდ 0.6-ს უდრის.

მიკროზონაში ძირითადად გაბატონებულია დასავლეთის (31%) და აღმოსავლეთის რუმბის ქარები (29%). უქარო დღეები საშუალოდ 30 %-ს უდრის. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე შეადგენს 1.8 მ/წმ-ს.

ნიადაგი. სოფელ სალხინოს ტერიტორიაზე გამოიყოფა შემდეგი ტიპისა და ქვეტიპის ნიადაგები:

1. ალუვიური მდელოს, თიხნარი და ქვიშნარი, მცირე სისქის ძლიერ ხირხატიანი;
2. ალუვიური მდელოს, უკარბონატო, თიხნარი, საშუალო და დიდი სისქის;
3. ნეშომპალა-კარბონატული, საშუალო სისქის, მძიმე თიხნარი და თიხიანი, ალაგ-ალაგ სუსტად განვითარებული და ჩამორეცხილი, განვითარებული კირქვებზე და კირნარ კონგლომერატებზე;
4. ნეშომპალა-კარბონატული, მძიმე თიხნარი და თიხიანი, ალაგ-ალაგ მცირე სისქის და ძლიერ ჩამორეცხილი, განვითარებული მერგელებზე და კირნარ ქვიშაქვებზე;
5. სუსტი ეწერი, საშუალო და დიდი სისქის, მძიმე თიხნარი და თიხიანი, ალაგ-ალაგ დაჭაობებული, განვითარებული ძველ ალუვიურ ღორღიან და თიხიან-ღორღიან ნაფენებზე;
6. წითელმიწა, ტიპიური და გაეწრებული, მძიმე თიხნარი და თიხიანი, განვითარებული ამონაღვარი ქანების და ტბა-მდინარეთა ძველი ნაფენების გამოფიტვის ქერქზე;
7. ყვითელმიწა, ტიპიური და გაეწრებული, მძიმე თიხნარი და თიხიანი, განვითარებული თიხაფიქლების, ქვიშაქვების კონგლომერატების გამოფიტვის ქერქზე.

ამ ტერიტორიაზე გავრცელებული ზემოთ ჩამოთვლილი ნიადაგები, კლიმატურ პირობებთან ერთად საშუალებას იძლევა წარმოებული იქნეს მაღალი ხარისხის ღვინო – „სალხინოს ოჯალეში“.

ადამიანური ფაქტორი. „მევენახეობას და მედვინეობას სამეგრელოს სასოფლო მეურნეობაში უხსოვარი დროიდან ეჭირა საპატიო ადგილი და დიდად განვითარებული იყო. ამას მოწმობს ბევრი მწერალი და მოგზაური, როგორც ძველები – ჰომეროსიდან დაწყებული, ისე ახალი დროის: შარდენი, ლამბერტი, კონტარინი, დიუბუა დე მონპერე, ჰაკსტჰაუზენი და ბევრი სხვა.

სამეგრელოს თითქმის ყოველ სოფელში ჩვენ ვპოულობთ ყურძნის საქაჩავის ქვის ნაწილებს, რომელთა სახელებიც კი არ იცის ახლანდელმა მოდგმამ. გარდა ამისა, ხალხში დარჩენილია ბევრი ჩვეულება და უქმეები, რომელნიც დაწესებულია მევენახეობა-მედვინეობის პატივსაცემად“, წერს ერმილე ნაკაშიძე.

სამეგრელო რომ მევენახეობის უძველესი და მაღალი კულტურის მქონე კუთხეა ისიც მიუთითებს, რომ აქ ორმოცდაათზე მეტი ვაზის ჯიში ჰქონდათ გამოყვანილი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ღვაწლი მიუძღვის სამეგრელოს და მათ შორის სალხინოს მევენახეობა-მედვინეობის აღორძინებაში პრინც აშილ მიურატს. მან სალხინოსა და ჭკადუაშში გააშენა ვენახები ოჯალეშის ჯიშის ვაზით. მისი დაყენებული ოჯალეშის ღვინოს სხვადასხვა ღირსების მედლები და სიგელები ჰქონდა მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენაზე.

1942 წლიდან „ოჯალეშის“ სახელწოდებით გამოდიოდა წითელი ნახევრად ტკბილი ღვინო, რომელიც საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ამჟამად „სალხინოს ოჯალეშის“ სახელით გამოდის წითელი მშრალი ღვინო, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

სალხინოს მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, რეგიონისთვის დამახასიათებელი კლიმატი: ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი თბილი, რბილი ზამთრით და ცხელი ზაფხულით, ატმოსფერული ნალექების ზომიერი რაოდენობა, ნიადაგის მრავალფეროვნება, ოჯალეშის ვაზის ჯიშის მხოლოდ ამ მიკროზონისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მახასიათებლები და მევენახეობა-მედვინეობის ადგილობრივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია განაპირობებს ღვინო „სალხინოს ოჯალესის“ განუმეორებელ, მხოლოდ ამ ღვინისათვის დამახასიათებელ ორგანოლეპტიკურ თვისებებს.

11. გარდამავალი დებულებები

ყურძნის გადამუშავება და/ან ღვინის დამზადება და/ან ჩამოსხმა დასაშვებია სალხინოს მიკროზონის ფარგლებს გარეთაც 2030 წლის 31 დეკემბრამდე.

ამასთან, ყურძნის და/ან ღვინის გატანა მიკროზონიდან გადასამუშავებლად და/ან ჩამოსასხმელად დასაშვებია მხოლოდ მკაცრი აღრიცხვისა და კონტროლის პირობებში.

12. ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები

დასახელება „სალხინოს ოჯალეში“ და აღნიშვნა „დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო“ ეტიკეტზე, შეფუთვაზე, ასევე, ღვინის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით – **OJALESHI SALKHINO**

Protected Designation of Origin ან/და PDO

რუსული შრიფტით – **ОДЖАЛЕШИ САЛХИНО**

Защищённое наименование места происхождения

13. აღრიცხვა და შეტყობინება

„სალხინოს ოჯალეშის“ წარმოების და შენახვის ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვა და შეტყობინება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

14. ძირითადი საკონტროლო წერტილები

დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „სალხინოს ოჯალეშის“ წარმოების პროცესის გაკონტროლების დროს მწარმოებელმა სსიპ – ღვინის ეროვნულ სააგენტოს უნდა დაუდასტუროს შემდეგი პარამეტრების შესაბამისობა:

ძირითადი საკონტროლო პუნქტები	შეფასების მეთოდები
ვენახის ადგილმდებარეობა	საკადასტრო რუკა, შემოწმება ადგილზე
ფართობი	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, კადასტრი
ვაზის ჯიში	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე
კულტივირების მეთოდები	აგროტექნიკურ ღონისძიებათა რეგისტრაციის ჟურნალი, წამლობის ჟურნალი. შემოწმება ადგილზე
მოსავლის აღება და ტრანსპორტირება	რთველის ჟურნალი
ყურძნის საჰექტრო მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის მთლიანი მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება	ყურძნის მიღების ჟურნალი, ყურძნის გადამუშავების ჟურნალი, პროდუქციის ბრუნვის აღრიცხვის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები, შეტყობინებები, შემოწმება ადგილზე
ღვინის ჩამოსხმის, შეფუთვის და შენახვის ადგილი და პირობები	ჩამოსხმის ჟურნალი, მზა ნაწარმის საწყობში პროდუქციის მოძრაობის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები ღვინის წარმოების პროცესში, ჩამოსხმამდე და ჩამოსხმის შემდეგ	ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ორგანოლეპტიკური მახასიათებლები	სადეგუსტაციო კომისიის ოქმები
მიკვლევადობა	ტექნოლოგიური და ლაბორატორიული ჩანაწერები

15. წარმოების მაკონტროლებელი ორგანო

წარმოების სპეციფიკაციის დაცვასა და ადგილწარმოშობის დასახელების მართებულად გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.


N
W
E
S
ალბეთი
ალაზანი
ბოდბისხევი
ბაკურიანი
ბაჯაანი
ბაკურიანი
ალაზანი
ბაკურიანი
ბაჯაანი
ბაკურიანი
ალაზანი
ბაკურიანი
ბაჯაანი
ალაზანი
ბაკურიანი
ბაჯაანი
ალაზანი
ბაკურიანი
ბაჯა

სანთელი

ღვაწლმოსილი მეცნიერის ხსოვნა



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ თურმანიძე.

ბატონი თამაზი დაიბადა 1932 წლის 4 სექტემბერს ქალაქ ბორჯომში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1957 წელს წარჩინებით დაამთავრა და მიენიჭა სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია. 1963 წელს მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1983 წელს — გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1995 წლიდან კი — პროფესორის წოდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სპეციალობით. 1992 წელს აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1974-1983 წლებში ბატონი თამაზი ხელმძღვანელობდა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურს, ბრძანდებოდა ერთობლივი პროექტის „კომპლექსური მიწათსარგებლობა მთიან ეკოსისტემებში“ დირექტორი. 1975 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ხოლო 2012 წლიდან — საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში. ხელმძღვანელობდა სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების მომზადებას.

პროფესორ თამაზ თურმანიძის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იყო კლიმატოლოგია, მეტეოროლოგია, აგროეკოლოგია და აგროფიზიკა. აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო ფორუმებში — მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მე-10 ყრილობაზე, კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილ გაეროს საერთაშორისო ყრილობებზე, მეტეოროლოგიური თანამგზავრის გამოყენების საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე ნიურნბერგში, 2012 წელს იყო გვალვისა და გაუდაბნოების საკითხისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის სექციის თავმჯდომარე. შესრულებული აქვს ათამდე სამეცნიერო-საგრანტო პროექტი, მათ შორის UNEP-ის FAO-REC Caucasus-ის დაკვეთით.

ბატონი თამაზი 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის, 7 მონოგრაფიის, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით, მინიჭებული აქვს ექსპერტის წოდება აგროეკოლოგიის დარგში.

ბატონი თამაზის გარდაცვალება დიდი დანაკლისია საქართველოს აგრარული მეცნიერებისათვის. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

დიდმოწამე ბარბარე

17 დეკემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენების დღეს აღნიშნავს.

წმინდა დიდმოწამე ბარბარე ქართველებისთვის გამორჩეულად საყვარელი მოწამეა. შესაძლოა, ასეთი გამორჩეულობა მის არა მარტო ღვთიურ, არამედ იმ ადამიანურ ხასიათსაც მიეწერება, რომელიც ჩვენ ქართულ ხასიათთან ახლოსაა.

საგულისხმოა ის, რომ თბილისის წმინდა ბარბარეს სახელობის ზემო ეკლესიაში დაცულია დიდმოწამე ბარბარეს წმინდა ნაწილი.

ამ ტაძრის საკურთხეველში დაცულ სიწმინდეს ყოველი წლის 17 დეკემბერს გამოაბრძანებენ, რათა მორწმუნენი ეამბორონ და მის მადლს ეზიარონ...

ქალწულმა წმინდა ბარბარემ დასჯისას უფალს შეავედრა ყველა ის მორწმუნე, ვინც მის მოწამებრივ აღსასრულს მოიხსენიებდა, დაცული ყოფილიყო უეცარი სიკვდილისგან.

წმინდა ბარბარეს წამების ქართული ტექსტი შესულია „პარხლის მრავალთავში“, სინას მთისა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრებში დაცულ ხელნაწერებში (X-XI ს.).

გიული ლიპარტია

თბილისის ქუჩებში საახალწლო განათებები ჩაირთო

თბილისის ქუჩებში საახალწლო ილუმინაციები აინთო. თბილისის მერიის ინფორმაციით, პირველ ეტაპზე, საახალწლო განათებები და დეკორაციები წერეთლის, რობაქიძის, თამარ მეფის, ვაჟა-ფშაველას, ყაზბეგისა და გურამიშვილის გამზირებზე, ასევე კოსტავას, კანდელაკის, გამსახურდიას, დოლიძის, ჩოლოყაშვილის, თამარაშვილის, მელიქიშვილის, ფარნავაზ მეფის, ცოტნე დადიანის, გორგასლისა და ლეონიძის ქუჩებზე აინთო. მომდევნო დღეებში დედაქალაქის დარჩენილი გამზირები და ქუჩები აინთება.

საახალწლო ილუმინაციების ანთების პროცესს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორი რომეო მიქაუტაძე გაეცნო.

„თბილსერვის ჯგუფი“ საახალწლო განათებების მონტაჟს დაახლოებით ერთი თვეა ახორციელებს. დღეს უკვე დავიწყეთ განათებების ჩართვა სხვადასხვა რაიონში. ამ პროცესს რამდენიმე დღეში დავასრულებთ. ქალაქის საახალწლოდ მორთვა 25 დეკემბერს, მთავარი ნაძვის ხის ანთებით და საშობაო სოფლის გახსნით დაგვირგვინდება“, - განაცხადა მიქაუტაძემ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიჟოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ჯობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

17 დეკემბრიდან საქართველოში დათბება

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოში 17 დეკემბრიდან ჰაერის ტემპერატურა მოიმატებს და კვირის ბოლომდე უმეტესად უნალექო ამინდი იქნება.

ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობში +16, +21, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში კი +13, +18 გრადუსამდე მოიმატებს.

თბილისში უნალექო ამინდი იქნება. იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ქარი. ჰაერის ტემპერატურა დღის საათებში +14, +16 გრადუსია მოსალოდნელი.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2019-2020 წლების ზამთრის სეზონის პროგნოზით, საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო ტემპერატურა, საშუალო მრავალწლიურ ტემპერატურაზე 1 გრადუსით მაღალი, ხოლო ნალექების რაოდენობა, საშუალო მრავალწლიური რაოდენობის ფარგლებშია მოსალოდნელი.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.8647; ევრო - 3.2024;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8341;
100 რუბლი - 4.6032; თურქული ლირა - 0.4951;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6894;
1000 სომხური დრამი - 5.9868.

ამინდი 17 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+10
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+12
თბილისი:	ღამე	+5,	დღე	+12

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge